ყველაფერი თბილისში გადაწყდება A6

ქველმოქმედება გრძელდება A7

თბილისი მიესალმება ვიტებსკს A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 13 ივლისი, 2005 წელი. №157 (1017) | ფასი 50 თეთრი

ამბები

გიორგი თავდგირიძე: „ლევან ნიკოლეიშვილმა ჩემი და საკუთარი ღირსება უნდა დაიცვას"

"მე მოვითხოვ ჩემი უშუალო უფროსისაგან, რომ პატივი მცეს და დაიცვას ჩემი ღირსება, ამით ის საკუთარ ღირსებასაც დაიცავს", - თავდაცვის მინისტრის ბრძანების გარეშე გათავისუფლებული, თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორი გიორგი თავდგირიძე ამ განცხადებას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის ლევან ნიკოლეიშვილის გასაგონად აკეთებს.

A3

უცხოეთი

კონდოლიზა რაისი იაპონიას სტუმრობს

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი კორეის ბირთვულ პროგრამაზე მოლაპარაკებების წინ, რომელიც ივლისის ბოლოს გაიმართება, აზიის ქვეყნებს სტუმრობს. ამერიკელი დიპლომატი გუშინ იაპონიაში თავის კოლეგას ნობუტაკა მაციმურას შეხვდა.

A3

ამინდი

	13/07	14 /07
თბილისი	30	32
ტყიბული	29	30
სოხუმი	29	31
გორი	27	27
ონი	22	21
ზუგდიდი	33	35
ახმეტა	29	31
გაგრა	29	31
სამტრედია	33	34

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8250
ევრო	2.1924
ბრიტანული სტერლ.	3.1840
რუბლი	0.0636

ამბები	A 2
ამბები	A 3
საზოგადოება	A 4
პროექტი	A 5
სპორტი	A 6
რევიუ	A 7
სხვადასხვა	A 8

"გრძელი როქი" სახელისუფლებო ეშელონებში

საქართველოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში "გრძელი როქი" გაკეთდა. გუშინ საღამოს გამართულ საგანგებო ბრიფინგზე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა იმ საკადრო გადაადგილებების შესახებ ისაუბრა, რომლის სხვადასხვა ვარიანტებზეც მთელი დღის განმავლობაში მსჯელობდა მასმედია.

გიორგი ასანიშვილი

მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, ევროსაბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის პოსტზე დასამტკიცებლად პარლამენტს წარედგინება თბილისის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის კანდიდატურა, დედაქალაქის თავკაცის გამოთავისუფლებულ სავარძელს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიგი უგულავა დაიკავებს, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილზე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის კოორდინატორად, დროებით ინიშნება "ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი, პარლამენტარი გიორგი არველაძე.

დიპლომატიურ სამსახურში მიმავალ ზურაბ ჭიაბერაშვილს პრეზიდენტი სააკაშვილი მადლობას უხდის და მის დამსახურებებზე საუბრობს. **"ყველა ხედავს, რა ცვლილებები მოხდა დედაქალაქში. თბილისი ისე ლამაზდება, როგორც არასდროს. ყველგან დავიწყეთ გზების დაგება, შენობების შეღებვა და განათება, კომუნიკაციების გამოცვლა,"** - აღნიშნავს მიხეილ სააკაშვილი, რომლის თქმითაც, მიუხედავად იმისა, რომ ჭიაბერაშვილი უაღრესად პატიოსანი ადამიანია, **"ის ხშირად არის ხოლმე შემოტევების ობიექტი".**

გუშინდელ ბრიფინგზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა ახალ მერსაც დაუსახა ამოცანები. გზების შეკეთება, ქალაქის იერსახე, განათება, სპორტული მოედნების მშენებლობა, ტრანსპორტი, უკეთესი წყალმომარაგება - ეს იქნება პრიორიტეტული მიმართულებები გიგი უგულავას მომავალ საქმიანობაში.

"ყველა დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიდეს. იმედია, გიგი უგულავას ხელში უფრო სწრაფად წავა ყველაფერი. მომავალში ველით სამშენებლო ბუმს, 200-300 მილიონი ლარი მოხმარდება გზების რეაბილიტაციას," - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი. იგი ხაზს უსვამს, რომ გიგი უგულავამ, თავის დროზე, დიდი წვლილი შეიტანა აჭარის ოპერაციაში და იყო წარმატებული გუბერნატორი სამეგრელოსა და ზემო სვანეთში.

"თბილისის მერად ის დიდი ხნით მიდის," - ასეთ მრავლისმთქმელ განცხადებას აკეთებს ქვეყნის პრეზიდენტი იმ ვითარებაში, როდესაც ერთ წელიწადში არჩეული საკრებულოდან დედაქალაქის მერის არჩევნები უნდა ჩატარდეს. სააკაშვილის თქმით, გიგი უგულავას ეძლევა შანსი, ამ პერიოდში თბილისელებს თავი მოაწონოს და ბოლო დანიშნული მერი დედაქალაქელებს პირველ არჩეულ მერად მოევლინოს.

ჭიაბერაშვილისა და უგულავასგან განსხვავებით, პარლამენტარ გიორგი არველაძეს ცოტა ხნით, სულ რაღაც ორი-სამი თვით, მოუწევს ახალი მოვალეობის შესრულება, რადგან იგი "ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანია და ეს საკითხი საბოლოოდ პარტიამ უნდა გადაწყვიტოს.

პანკისელები ხელისუფლებას ადანაშაულებენ

ზვიად რუაძე
კახეთიდან

პანკისის ხეობის მოსახლეობა არ გამორიცხავს, რომ სულ მალე ხეობაში მდგომარეობა უმართავი გახდეს. ამის მიზეზად ისინი რამდენიმე დღის წინ სოფელ დუისში ჩატარებულ სპეცოპერაციას ასახელებენ, რომლის გამოც, ქისტურ გვარებს შორის დაპირისპირება გამწვავდა. "როგორც ძაღლის კუდი ვერ გასწორდება, ისე ჩვენი სამართალდამცველები ვერ გამოსწორდებიან," - ამბობს ხეობის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე სულეიმან გუმაშვილი, რომელმაც პროტესტის ნიშნად ეს სტატუსი მოიხსნა. პანკისის ხეობა ამ დროისთვის უხუცესის გარეშეა დარჩენილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

"მე, პირადად, შეურაცხყოფილი ვარ და ამიტომაც ვტოვებ თანამდებობას", - ამბობს უხუცესთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე სულეიმან გუმაშვილი.

სილამაზე ჩვენგან სტაბილურობას მოითხოვს

"მის სამყარო" საქართველოდან პასუხს ელოდება

ვერა ნეფარიძე

რამდენად მზად არის საქართველო, უმასპინძლოს ისეთ მასშტაბურ შოუს, როგორიც "მის სამყაროა"? ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი შოუპროექტი ყველა მასპინძელი ქვეყნისგან თითქოს ბევრს არაფერს ითხოვს, ქვეყანაში სტაბილურობისა და შესაბამისი სტანდარტის დარბაზის გარდა. იმის მიუხედავად, რომ ასეთი დარბაზი ჯერ არ მოგვეპოვება და ალბათ, სტაბილური ქვეყნის იმიჯის საბოლოოდ მისაღწევადაც ბევრი სამუშაო გვაქვს, მოლაპარაკებები "მის სამყაროსა" და "იმიჯ ცენტრის" წარმომადგენლებს შორის დაწყებულია. მხარეები დარწმუნებული არიან, რომ პროექტით ქვეყნის ხელისუფლებაც დაინტერესდება.

გაგრძელება A8 გვერდზე

ია კიწმარიშვილი.

ოპოზიციის თავყრილობა, რომლის შესახებაც არავის უნდა სცოდნოდა

"ახალი მემარჯვენეების" ოფისში შეკრებილი ოპოზიციონერებისთვის, რომლებიც პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის ერთიან ტაქტიკაზე მსჯელობდნენ, შენობაში ჟურნალისტების გამოჩენა არასასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. მით უფრო, რომ, წინასწარი შეთანხმებით, ეს შეხვედრა დახურული უნდა ყოფილიყო.

თამარ მჭედლიშვილი

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ოპოზიციონერები "კონსერვატორმა" კახა კუკავამ "გაყიდა". მან, თავისდაუნებურად, დაგეგმილი შეხვედრის შესახებ ერთ-ერთ "ნაციონალს" ამცნო. ამ უკანასკნელმა კი არ დაიზარა და ერთ-ერთ ტელეკომპანიას ინფორმაცია მიაწოდა. თანაც, მმართველი პარტიისთვის ნამდვილად საინტერესო იყო, ვინ და რატომ იკრიბებოდა "მემარჯვენეების" ოფისში.

თავის მხრივ, ჟურნალისტების აქტიურობამ პოლიტიკოსები საკმაოდ გააღიზიანა. სწორედ ამიტომ იყო, რომ "რესპუბლიკელმა" ივლიანე ხაინდრავამ "მემარჯვენეების" ოფისი უკომენტაროდ დატოვა, ხოლო "ახალმა მემარჯვენეებმა" განაცხადეს, რომ **"ეს სამუშაო შეხვედრა იყო და არაფერი განსაკუთრებული მასზე არ მომხდარა."**

ოპოზიციონერების შეხვედრა, დაახლოებით, სამ საათს გაგრძელდა. მასში მონაწილეობას იღებდნენ "ახლები", "კონსერვატორები", "რესპუბლიკელები" და "ლეიბორისტები." თავყრილობის მთავარი თემა შუალედური მაჟორიტარული არჩევნებისათვის პრაიმერის ჩატარება იყო.

გაგრძელება A4 გვერდზე

მთავარია, რა სურს ხალხს

"ტრადიციონალისტთა კავშირის" ლიდერი აკაკი ასათიანი ერთი პერიოდი აქტიურად იდგა დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა გვერდით. თუმცა, აზრთა სხვადასხვაობის გამო მალევე გამოეთიშა მათ.
დღეს აკაკი ასათიანი მათ მკაცრად აკრიტიკებს. მისთვის მიუღებელია დედაქალაქის მერის არჩევის ახალი კანონი, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა და ხელისუფლების მიდგომა კონფლიქტებისადმი, მეზობელი რუსეთისადმი.
"ტრადიციონალისტი" აცხადებს, რომ დადგა დრო, როდესაც საზოგადოება უნდა ჩაერთოს სახელმწიფო პოლიტიკის რიგი საკითხების განსაზღვრაში. ამ მიზნით მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას "ფორუმი კეთილდღეობისა და დემოკრატიისათვის", განაცხადი აქვს შეტანილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეფერენდუმის ჩატარების უფლების მისაღებად.
"მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს დედაქალაქის მერის არჩევის წესი," – აცხადებს აკაკი ასათიანი.

ნინო გომართელი

- საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში ბოლო დროს ყველაზე აქტიური თემა იყო ხელისუფლების ინიციატივა დედაქალაქის მერისა და საკრებულოს არჩევის ახალ წესზე. თქვენ საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებთან - "რესპუბლიკელებსა" და "კონსერვატორებთან" ერთად ცესკო-ში განაცხადი შეიტანეთ ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების უფლების მოთხოვნით. რატომ ჩათვალეთ, რომ საქართველოში დღეს ამის საჭიროებაა და როგორია თქვენი ინიციატივის მომავალი?

- იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, თუ როგორ აირჩევა თბილისის საკრებულო და მერი, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საზოგადოების აზრი წინ უნდა წამოიწიოს და ამ მიზანს ატარებს ჩვენი რეფერენდუმის იდეაც.

ყველა გადამწყვეტი მოვლენის დროს, იყო ეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის თუ "ვარდების რევოლუცია", გადამწყვეტი იყო ხალხი და მათი სურვილი. და ეს ხალხი ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ ზოგი საკითხი თავად გადაწყვიტოს.

გაგრძელება A4 გვერდზე

მე, ჰუსეინ ალი, "საქართველოს თამბაქოს წარმოების" 90% -ის მფლობელი, დღეს საჯაროდ ვაცხადებ, რომ პირადად გადავიხდი **10 000 აშშ დოლარს ჯილდოს სახით**, იმ ინფორმაციაში, რომელიც უზრუნველყოფს თამაზ მელქაძის გარანტირებულ დაპატიმრებას.

თამაზ მელქაძე ის ადვოკატია, რომელმაც მიიღო მონაწილეობა შეთქმულებაში, რომლის შედეგად მომპარეს 20 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ფაბრიკა და უკანონოდ გადასცეს ავთანდილ წერეთელს.

თამაზ მელქაძე ამჟამად იძებნება ფინანსური პოლიციის ბრძანების საფუძველზე.

თამაზ მელქაძე
დაბადებულია
1952 წლის
7 თებერვალს.
სიმაღლე -
დაახლოებით 175 სმ.
წონა -
დაახლოებით 90კგ.
ჭაღარა თმა.

**გთხოვთ, დარეკოთ
24 საათის მანძილზე
შემდეგ ნომერზე:
877. 50 75 29.**

**მხოლოდ
კონკრეტული
ინფორმაციით!**



ქუჩის ბავშვები - კვლავ აქტუალური თემა

განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების დახმარების სადედაქალაქო პროგრამის ძირითადი მიმართულებები საკრებულოს 2004 წლის 30 სექტემბრის დადგენილებით განისაზღვრა. მართალია, დედაქალაქის მთავრობას ერთი წლის წინათ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შესაბამისი პროგრამის შემუშავება და საკოორდინაციო ჯგუფების შექმნა დაევალა, თუმცა ამ მხრივ, არაფერი გაკეთებულა. გუშინ, თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის ინიციატივით, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების პრობლემებზე კიდევ ერთხელ იმსჯელეს.

თამარ დვალი

"ჩვენი მთავარი პრობლემა არის ის, რომ მაწანწალა ბავშვების საკითხებზე უამრავი სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს, თუმცა მათი პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება. დღეისათვის ზუსტი სტატისტიკური მონაცემებიც კი არ არსებობს, თუ რამდენი ბავშვია ქუჩაში. საჭიროა დედაქალაქის მასშტაბით არსებობდეს მუშაობის ერთიანი კონცეფცია და შესაბამისი პროგრამა. საკრებულოს 2004 წლის 30 სექტემბერის დადგენილებით, განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების დახმარების სადედაქალაქო პროგრამის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა. მთავრობას დაევალა კიდეც, ამის საფუძველზე შეექმნა შესაბამისი პროგრამა. ასევე უნდა შექმნილიყო მერთან და პრემიერთან არსებული საკოორდინაციო ჯგუფი, რომელსაც ხელთ ექნებოდა დედაქალაქის მასშტაბით მთელი ინფორმაცია, თუ რომელ პრობლემაზე რომელი ორგანიზაციები იმუშავებდნენ და რა პროექტებს განახორციელებდნენ, თუმცა არაფერი გაკეთებულა. დღეს ამ საკითხებზე საუბარი ტყუილი დროის ხარჯვაა, მთავარია, მიღებული გადაწყვეტილებები შევასრულოთ," – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას საკრებულოს წევრმა გია მურღულიამ.

განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების შესახებ გუშინ კონკრეტული ინფორმაცია და მონაცემები წარმოადგინეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროს, მერიის ბავშვთა უფლებების საქალაქო ცენტრის, ომბუდსმენის ოფისისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრს დაფინანსება მიმდინარე წლის იანვარში შეუწყდა. ცენტრის ხელმძღვანელის ბელა სარიას თქმით, მათი სამსახურის ფუნქციონირებისთვის წლის ბოლომდე 16 ათასი ლარია საჭირო. ამ საკითხთან დაკავშირებით, საკრებულო უახლოეს სხდომაზე იმსჯელებს. გუშინ სარიამ საკრებულოს მათი სამსახურის მიერ მოპოვებული მონაცემები გადასცა, რომელიც ოთხ კატეგორიას მოიცავს. ეს არის: ქუჩაში უზედამხედველოდ დარჩენილი ბავშვების, პენიტენციალურ სისტემაში განთავსებული მოზარდების, შრომითი ექსპლუატაციისა და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი მოზარდების პრობლემა.

"გვინდა, ამ ბავშვების შესახებ მასალები იმ დაწესებულებებს მივაწოდოთ, რომლებსაც ამ პრობლემის მოგვარება ევალებათ. შარშან, ჩვენი სამსახურის ინიციატივითა და სოციალურ საკითხთა კომისიის დახმარებით, სადედაქალაქო პროგრამის ძირითადი მიმართულებები შემუშავდა. პროგრამის განსახორციელებლად მხოლოდ მთავრობის კეთილი ნება იყო საჭირო, თუმცა, ამის მაგივრად, იანვრის თვეში ჩვენი სამსახური ბიუჯეტიდან ამოიღეს," – განაცხადა ბელა სარიამ.

სტატისტიკური მონაცემებით, განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების მხრივ, ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, საგრძნობლად გაუარესდა. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, ორგანიზებული ხასიათი მიიღო ბავშვთა პროსტიტუციამ, რომლის უკანაც გარკვეული ფინანსური ინტერესები იკვეთება. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის ხელმძღვანელმა განაცხადა, არასრულწლოვანი პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების ხვედრითმა წილმა ქვეყანაში რეგისტრირებულ დანაშაულებში 2,9 პროცენტი შეადგინა. ქუჩის ბავშვთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია და მათი ძირითადი საქმიანობა მათხოვრობაა. ხშირია პროსტიტუცია ორივე სქესის ბავშვებში. ქუჩის ბავშვებს შორის მასობრივად გავრცელდა სხვადასხვა ინფექციური დაავადებები, მათ შორის - სქესობრივი გზით გადამდებიც. ამ კატეგორიის ბავშვთა გარკვეული რაოდენობა არის არა მხოლოდ ტოქსიკომანი, არამედ უკვე ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მომხმარებელი. ასეთ ბავშვთა ასაკი 12-14 წლამდე დავიდა. რაც შეეხება არასრულწლოვანთა პროსტიტუციას, მათი ასაკი უკვე 12 წლიდან იწყება და როგორც დღევანდელ შეხვედრაზე აღინიშნა, ქართველ არასრულწლოვანთა სექსუალური მომსახურების შესახებ, ინფორმაცია და მონაცემები სპეციალურად შექმნილ ინტერნეტსაიტებზეც თავსდება.

6 თვეში დანაშაულის 11 ათას 736 ფაქტია რეგისტრირებული

შს სამინისტროს ინფორმაციით, 2005 წლის 6 თვეში ქვეყნის მასშტაბით 11 736 სხვადასხვა სახის დანაშაულია რეგისტრირებული, რომელთაგან 6 260 გახსნილია.

რეგისტრირებულ დანაშაულთა შორისაა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის 4697 ფაქტი, რომელთაგან გახსნილია - 1517, მძიმე კატეგორიის 3568 დანაშაულიდან გახსნილია 1872, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის 3471 დანაშაულიდან - 2871.

მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში რეგისტრირებულია ტერორიზმის და ბანდიტიზმის 2-2 გაუხსნელი ფაქტი.

ასევე, რეგისტრირებულია განზრახ მკვლელობის 131 ფაქტი, რომელთაგან გახსნილია - 87, მკვლელობის მცდელობის - 119, გახსნილია – 88, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების -172, გახსნილია- 82, გაუპატიურების - 27, გახსნილია - 26, თავისუფლების უკანონო აღკვეთის - 47, გახსნილია - 37. ადამიანის ანგარების მიზნით გატაცების 13 რეგისტრირებული ფაქტიდან 8 ფაქტია გახსნილი, მძევლად ხელში ჩაგდების 7 ფაქტიდან კი, 5 გაიხსნა.

რეგისტრირებულია, ასევე, ქურდობის 5154 ფაქტი, გახსნილია - 1417; ძარცვის - 563, გახსნილია - 232; ყაჩაღობის - 870, გახსნილია - 324; თაღლითობის - 184, გახსნილია - 163; გამოძალვის -31, გახსნილია - 25; ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების შეძენა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა, გასაღების - 542, გახსნილია – 522; ხულიგნობის - 344, გახსნილია –278 ; ნივთის დაზიანების ან განადგურების - 222, გახსნილია – 123; მანქანის დაუფლების - 86, გახსნილია – 47; ტრანსპორტის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის 368 ფაქტიდან კი 228 ფაქტია გახსნილი.

24 საათი

ყურადღება! არქიტექტორული კონკურსი

ფონდი "ხელოვნების უბანი - სამუზეუმო ქუჩა" აცხადებს არქიტექტორულ კონკურსს გუდიაშვილის ქუჩისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის გენერალური გეგმის და სამუზეუმო ქუჩა/ხელოვნების უბნის კონცეფციის შემუშავებაზე.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია 6 პრემია:

ერთი პირველი პრემია 5.000 აშშ დოლარი
ერთი მეორე პრემია 3.000 აშშ დოლარი
ერთი მესამე პრემია 2.000 აშშ დოლარი
სამი წამახალისებელი პრემია 500 აშშ დოლარი

საკონკურსო მასალები გაიცემა 2005 წლის 17 ივლისამდე ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურიდან.

მისამართი: ალმაშენებლის გამზირი 89/24, II სართული.
ტელ. 92-35-73, 877 570 602

სატყეოში ვაკანსიებია

პაპუაშვილმა საკადრო წმენდა დაიწყო

გიორგი პაპუაშვილი რადიკალურ მეთოდებზე გადადის და გარემოს დაცვითი პოლიტიკის რეფორმირებასაც საკადრო წმენდით იწყებს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც ტყესთან დაკავშირებით ხდება, წმენდა და გახმაურებული დაჭერები, ალბათ, სწორედ ამ სფეროდან უნდა დაწყებულიყო. შეიძლება ითქვას, რომ წლიურად 2 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი ტყე იჩეხება. ხერხის სამიზნე ხდება ისეთი უნიკალური ტყეები, როგორიც ბორჯომის, ბაკურიანის, ხარაგაულის, ადიგენის, ვანისა და სხვა რეგიონებშია გაშლილი. გუშინდელი სამუშაო შეხვედრა ქვეყნის მეტყევეებთან პაპუაშვილმა რამდენიმე რაიონის სატყეო მეურნეობის უფროსების გათავისუფლებით დაასრულა.

ოთარ ქირია

საქართველოს ტყის საფარი 3.5 მილიონ ჰექტარზეა გაშლილი, ტყეების მოცულობა კი 352 კუბურ მეტრს შეადგენს. კატასტროფულია, მაგრამ ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში წლიურად 2 მილიონ კუბურ მერტზე მეტი ხე იჩეხება და, როგორც ამბობენ, ამის ძირითადი მიზეზი მძიმე სოციალური სიდუხჭირეა. თუმცა, არსებობს სხვა მიზეზებიც...

არსებული სიტუაციის ფონზე გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს, რომ ქვეყნისთვის გარემოს დაცვა პრიორიტეტული თემა არ გახლავთ. თუმცა, ექსპერტების განმარტებით, ეს ყველაზე მცდარი მიდგომაა და ამას ისიც მოწმობს, რაც გასულ თვეებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოხდა. ღვარცოფებს, წყალდიდობებს, მეწყერებსა და ნიაღვრებს, ხშირ შემთხვევაში, სპეციალისტები ტყის არანორმალურ ჩეხვასაც აბრალებენ. ალბათ, სახელმწიფო უნდა დაფიქრდეს იმაზეც, რომ მოსახლეობის ცნობიერება ამ კუთხითაც აამაღლოს. ოღონდ, ამისათვის საკუთარი შეგნების დახვეწაც არის საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში, არასდროს მოელება ბოლო ჭორებს, რომლებიც ამბობენ, რომ ტყის ჩეხვის შავ ბიზნესს შს მინისტრები, რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატები, ადგილობრივი გამგებლები, პოლიციელიები, პრეზიდენტის რწუნებულები და სხვა მაღალჩინოსნები მართავენ.

პირველი ნაბიჯი, რაც პირადად მე შევნიშნე სახელმწიფოს მხრიდან გარემოს დაცვითი ცონიბიერების ამაღლებისა და ბუნების დაცვის თვალსაზრისით (პრეზიდენტსა და პარლამენტს), გახლავთ ის პუნქტები, რომლებიც ამ კუთხით ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშია დეკლარირებული. რამდენიმე დღის წინათ, საქართველოს ხელისუფლებამ ისტორიული დოკუმენტი მიიღო. ათწლიანი ვიშვიშის შემდეგ, როგორც იქნა, ქვეყანამ დაამტკიცა სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. რა თქმა უნდა, ეს არ არის კანონი, მაგრამ ქვეყნის სახე საერთაშორისო არენაზე ნამდვილად გახლავთ. ამ კონცეფციის გარეშე ქვეყანა სახელმწიფოდ არ აღიქმება. ასეთია საერთაშორისო პოლიტიკისა და დიპლომატიის წესი. როგორც წესი, ეროვნულ კონცეფციაში მოქცეულია ძირეული ღირებულებები, რაზეც სახელმწიფოებრივი მშენებლობაა დაგეგმილი, გაწერილია რისკ-ფაქტორები და სახელმწიფოს ინტერესები. როგორც იქნა, გარემოს დაცვას ოდნავ მეტი ყურადღება დაეთმო, ვიდრე აქამდე. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ გარემოს დაცვითი კულტურა ჩვენში იმდენად დაბალია, რომ ამ კონცეფციაშიც გარემოს დაცვა გამოყვანილია, როგორც მხოლოდ დაბინძურება ან ბუნებრივი რესურსების მართვა. ნებისმიერ შემთხვევაში, ქვეყნის პრეზიდენტი და პარლამენტი საერთაშორისო ტრიბუნაზე აფიქსირებენ, რომ საქართველოს სახელმწიფოსთვის გარემოს დაცვა პრიორიტეტული თემაა. ამის გათვალისწინება ამიერიდან ყველას მოუწევს. თავად გარემოს დაცვის სამინისტრო კი, როგორც ვთქვით, მოხსნებით იწყებს.

"შესაძლოა, ჩემი დღევანდელი გადაწყვეტილება ბევრისთვის არაპოპულარული და მიუღებელია, მაგრამ ოდესღაც ამ ქვეყანაში უნდა დალაგდეს ტყის სექტორი. ჩეხვის ასეთი ტემპებით მალე უდაბნოდ ვიქცევით," - ამბობს გარემს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გიორგი პაპუაშვილი და თანამშრომლობისკენ მოუწოდებს ყველა უწყებას, რომელსაც ტყის უკანონო ჩეხვასთან ბრძოლა ოდნავ მაინც ეხება. მისივე თქმით, **"უკვე დამტკიცდა ინსპექტორატი, რაც იმას ნიშნავს, რომ ორიოდ თვეში საქართველოს ტყეებში პატრულირებას დაიწყებენ სპეციალურად გაწვრთნილი და აღჭურვილი ინსპექტორები."**

სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგები ასეთია: ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობის შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა უკანონოდ მოჭრილი სხვადასხვა ჯიშის - 2625 ძირი ხე. საერთო ლიკვიდური მოცულობით - 3283 მ3, მათ შორის, სამასალე - 2691 მ3. ტყისათვის მიყენებულმა ზიანმა 368 640 ლარი შეადგინა. ადიგენის სატყეო მეურნეობის შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა უკანონოდ მოჭრილი სხვადასხვა ჯიშის 1510 ძირი ხე, საერთო მოცულობით - 2297 მ3. მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 263 458 ლარი. საჩხერის სატყეო მეურნეობის შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა უკანონოდ მოჭრილი, სხვადასხვა ჯიშის, 78 ძირი ხე, საერთო ლიკვიდური მოცულობით - 89 მ3, მათ შორის სამასალე - 61 მ3. მიყენებულმა ზიანმა შეადგინა - 12 624 ლარი. ვანის სატყეო მეურნეობის შემოწმებით დადგენილი იქნა, რომ უკანონო ჭრების შედეგად ტყისთვის მიყენებულმა ზიანმა 106 231 ლარი შეადგინა. სამსახურებრივი შემოწმებების გარდა, ჩატარებული რეიდების მეშვეობით, ბოლო სამი თვის განმავლობაში, ქვეყნის მასშტაბით გამოვლენილი იქნა სხვადასხვა რაოდენობის უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე, რამაც საერთო ჯამში შეადგინა - 2560 მ3, ხოლო მიყენებულმა ზიანმა - 287 456 ლარი. ბოლო პერიოდის განმავლობაში უკანონო ჭრებზე გამოვლენილი იქნა ტყისადმი მიყენებული ზიანი, სულ - 1 038 409 ლარის ოდენობით, რაზედაც მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაცემულია შესაბამის ორგანოებზე, რომელთა მეშვეობით უნდა მოხდეს ამ თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზაცია. შესაძლო დანაშაულის ნიშნების შემცველობის გამო, შემოწმების მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით ეგზავნება საქართველოს გენერალურ პროკურატურას. ამ და სხვა მონაცემების საფუძველზე, პაპუაშვილმა თანამდებობიდან გაათავისუფლა შესაბამისი რაიონების სატყეო მეურნეობების ხელმძღვანელები და 30-მდე თანამშრომელი.

"24 საათთან" საუბრისას ბორჯომისა და ადიგენის სატყეო მეურნეობების აწ უკვე ყოფილი ხელმძღვანელები ლერი ხუჭუა და იოსებ გავაშელიშვილი კატეგორიულად აცხადებენ, რომ მათ ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან ზეწოლა არასდროს უგრძვნიათ. თუმცა, ბორჯომელები ამბობენ, რომ ხუჭუა ამ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ნოდარ გრიგალაშვილის "კაცია" და პოსტებს ისინი ხე-ტყის უკანონო ჩეხვისთვის შესანიშნავად იყენებდნენ.

დღე მეორე

ერთიანი ეროვნული გამოცდების დღიური

გუშინ დასრულდა გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 30 453 რეგისტრირებული აბიტურიენტიდან გამოცდებზე არ გამოცხადდა 821.

მათ შორისაა აბიტურიენტების ის ნაწილი, რომლებმაც სპეციალიზირებული სასწავლებლებში ვერ გაიარეს შესარჩევი ტურები და ერთიანი ეროვნულ გამოცდების ჩაბარებაც გაისისთვის გადადეს, თუმცა შეეძლოთ, წელს "მოეცილებინათ".

მეორე დღემაც ექსცესების გარეშე ჩაიარა. ორგანიზაციული და ტექნიკური ხარვეზები არ ყოფილა. 14 საგამოცდო ცენტრის მასშტაბით რამდენიმე დაგვიანებული აბიტურიენტი გამოცდაზე გამონაკლისის სახით არ დაუშვიათ.

გამოცდიდან გამოსულმა რამდენიმე აბიტურიენტმა აღნიშნა, რომ შავი ვარიანტის გადათეთრება ვერ მოასწრო და შიშობდნენ, რომ მათი ნამუშევარი ნულოვან ვარიანტად ჩაითვლებოდა და არ გასწორდებოდა. ეროვნული გამოცდების პრესცენტრის განცხადებით, აბიტურიენტების მიერ ჩაბარებული ყველა ნაშრომი გასწორდება და შესაბამისი ქულებით შეფასდება, მიუხედავად იმისა, დასრულებულია იგი თუ არა.

აბიტურიენტები აღნიშნავდნენ, რომ გამოცდაზე კომფორტი და სიმშვიდე იყო, მეთვალყურეები და დაცვა - ყურადღებიანები.

გარეთ კი მშობლები ბჭობდნენ: იქნება თუ არა გამოცდების ეს ფორმა მიუკერძოებელი, გაჭრის თუ არა მინისტრის "შეუპოვრობა"; რატომ დაგვპირდნენ პირდაპირ ტრანსლაციას გამოცდებიდან, როცა ლამის მიწაზე, კონტრაჟურში დადგმული ტელევიზორების ეკრანზე საკუთარ შვილებს ვერ ხედავდნენ; "მაღლივის" მშობლები სკამების და საჩრდილობელი ქოლგების დადგმას ნატრობდნენ; აგრარული უნივერსიტეტის ტყე-პარკში გატარებული სამი საათის შემდეგ, მშობლები მეორე გამოცდისთვის ბუნებაში შეზლონგის და ცივი საზამთროს მოტანასაც გეგმავდნენ;

რაში გამოიყენეს რეგისტრაციაში გადახდილი 30 ლარი? - კითხულობდნენ მშობლები...

რაც შეეხება ერთიანი ეროვნული გამოცდების დაფინანსებას, "მსოფლიო ბანკის" წარმომადგენლის განცხადებით, საქართველოს განათლების სამინისტროს პროექტ "ილია ჭავჭავაძეს" ფარგლებში, ბანკმა ხელი შეუწყო ერთიანი მისაღები გამოცდების განვითარებასა და ადმინისტრირებას.

მისაღები გამოცდების ახალი პოლიტიკა საშუალებას აძლევს აბიტურიენტებს, ჩააბარონ უმაღლეს სასწავლებელში მხოლოდ მათი ცოდნის საფუძველზე. ტესტების შინაარსიცა და საგამოცდო პროცესის ხასიათიც მინიმუმადე ამცირებს კორუფციის შესაძლებლობას.

ტესტები შემუშავდა ეროვნული შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტთა ფართო სპექტრის დახმარებით. უზრუნველყოფილი იქნა პირველი ერთიანი მისაღები გამოცდების ჩატარების მაქსიმალური გამჭვირვალობა. სპეციალურად შექმნილ 76 სარეგისტრაციო ცენტრში რეგისტრაცია გაიარა 32 ათასმა აბიტურიენტმა. საგამოცდო ბუკლეტები დაიბეჭდა დაცულ სტამბაში. მიღებული იქნა ზომები საგამოცდო ბუკლეტების 14 საგამოცდო ცენტრში უსაფრთხოდ გადატანის მიზნით. თოთხმეტივე საგამოცდო ცენტრში ბანკის დახმარებით შეიძინეს ვიდეოკამერები, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო გამოცდის მაქსიმალური უსაფრთხოება და მონიტორინგი.

მსოფლიო ბანკმა გამოცდებისთვის დააფინანსა ყველაფერი, რაც წელს პირველადი იყო, მაგრამ მომავალში განმეორებით გამოყენებას დაექვემდებარება: მაგიდები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, ვიდეოკამერები... რაც შეეხება სარეგისტრაციო 30 ლარს, რომელიც ჯამში მილიონ ლარამდეა, ის ადმინისტრირებას მოხმარდება - დამკვირვებლების, გამსწორებლების, სააპელაციო სამსახურის ხელფასებს. "დაფინანსების ეს სისტემა ყოველწლიურად იმუშავებს," - განაცხადა ერთიანი ეროვნული გამოცდების პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ლევან გახელაძემ.

უნარ-ჩვევების გამოცდა ჩატარდება 14-15 ივლისს. დღეიდან კი გამსწორებლები ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტების გასწორებას შეუდგებიან.

24 საათი

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
ყველაზე დაბალი ტარიფები საერთაშორისო საუბრებზე
მოსკოვი (ფიქსირებულ ტელეფონებზე) 22თ. დროის
რუსეთი წამობრივი
ამერიკა 25თ. აღრიცხვა
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონებზე)
8-10
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

"თელასი" მოვალეების დასჯას განაგრძობს

"თელასი" მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო, საბიუჯეტო ორგანიზაციების დასჯას აგრძელებს. როგორც "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში "24 საათს" განუცხადეს, მიუხედავად ორი დღის წინ დაწყებული სადამსჯელო ღონისძიებებისა, არც ერთ საბიუჯეტო ორგანიზაციას დავალიანება არ დაუფარავს. "თელასი" საბიუჯეტო ორგანიზაციების გათიშვას ეტაპობრივად ახორციელებს. გუშინ, ელექტროენერგიის მიწოდება 200-მდე ორგანიზაციას შეუწყდა. მათ შორისაა სახელმწიფო კანცელარია, რომლის დავალიანება 39 742 ლარია, ენერგეტიკის სამინისტრო (13 500 ლარი), იუსტიციის სამინისტრო, (29 121 ლარი), ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო (2 700 ლარი), საზღვრის დაცვის დეპარტამენტი (7 900), გვარდიის კადეტთა კორპუსი (124 400).

როგორც "თელასში" განმარტეს, გამოირთვება დევნილთა კომპაქტურად დასახლებული უბნებიც. ლტოლვილთა დავალიანება, რომელიც წლების მანძილზე დაგროვდა, 38 მილიონი ლარია.

ელექტროენერგიის მიწოდება გათიშულ ორგანიზაციებს დავალიანების დაფარვის ან მყარი გარანტიის წარდგენის შემდეგ აღუდგება. შეგახსენებთ, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების დასჯა "თელასმა" ფინანსთა სამინისტროსთან 2 კვირის წინ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მიიღო, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო დაწესებულებებს გასულ წლებში დაგროვილი დავალიანებების გადახდა 11 ივლისისთვის უნდა უზრუნველეყოთ. "თელასისადმი" საერთო დავალიანება 4 მილიონ 800 ათას ლარს შეადგენს.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ენერგეტიკის სამინისტროს მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება სრულად აქვს დაფარული, თუმცა, დავალიანება სამინისტროს შენობაში განთავსებულ სხვა ორგანიზაციებს ერიცხება. ენერგეტიკის სამინისტრო "საქტრანსგაზმრეწვის" შენობაშია განთავსებული. **"საქტრანსგაზმრეწვის" შენობის ნაწილი იჯარით სხვა ორგანიზაციებს აქვთ აღებული და დავალიანებაც მათ გააჩნიათ,"** – აცხადებდნენ გუშინ ენერგეტიკის სამინისტროში. ***24 საათი***

საქართველოს ინიციატივებს ცხინვალი პიარ აქციას უწოდებს

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ბათუმში, საერთაშორისო კონფერენციაზე გაჟღერებულ ინიციატივებს, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, ცხინვალი პიარ აქციას უწოდებს, რომელიც "დასავლეთიდან მორიგი ინვესტიციების მიღებაზეა გათვლილი." ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა მურად ჯიოევმა განუცხადა. მისი თქმით, კონფერენციაზე დაფიქსირებული საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ახალი არ არის, ისინი ოსურმა მხარემ გასულ წელსაც რამდენჯერმე მოისმინა, შემდეგ კი კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო. "სამხრეთ ოსეთის ხალხმა თავად განსაზღვრა თავის სტატუსი და ამ მხრივ ქართული მხარის წინადადებები, ისევე როგორც სოციალური დახმარების და საპენსიო დავალიანების ანაზღაურების შეთავაზება, უადგილოა," - განაცხადა დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა. ამავე დროს, იგი აღნიშნავს, რომ ოსური მხარე მზად არის დიალოგისათვის საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის ურთიერთობების ყველა მიმართულებით დარეგულირების მიზნით, მაგრამ მხოლოდ მოლაპარაკებათა პროცესის არსებულ ფორმატში, რომელმაც უდავოდ გაამართლა. ***პრაიმ-ნიუსი***

ენერგეტიკის მინისტრი ენგურჰესზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს გაეცნო

საქართველოს ენერგეტიკისა და შინაგან საქმეთა მინისტრები ენგურჰესზე სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნენ. ენგურჰესის კაშხალზე ახალი, 220-ტონიანი წყლის შემაკავებელი ფარის მონტაჟი ორი თვის წინათ დაიწყო. სარემონტო სამუშაოებს გერმანელი და ქართველი ინჟინრები ერთობლივად ასრულებენ, რომელიც, სავარაუდოდ, 15 აგვისტოსთვის დამთავრდება. ენგურჰესის კაშხალზე დამჭერი ფარი რამდენიმე წლის წინათ დაზიანდა, რის გამოც ჰესიდან წყალი უკონტროლოდ გაედინებოდა. ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის განმარტებით, შემაკავებელი ფარის შეკეთებით ეს პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება, რაც ელექტროენერგიის გამომუშავების გაზრდას ხელს შეუწყობს. **მედიანიუსი**

სასამართლო მარშალი სექტემბრიდან წესრიგს დაიცავს

პარლამენტის ინიციატივით, მართლმსაჯულების სისტემაში ახალი, ე.წ. სასამართლო მარშალის ინსტიტუტი სექტემბრიდან ამოქმედდება, რომელსაც სასამართლო დარბაზებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებლობა დაეკისრება. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, ეს საკითხი მისი კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობის გეგმიურ ნუსხაშია შეტანილი და კანონპროექტზე მუშაობის დასაწყებად კონსულტაციები იუსტიციის საბჭოსთან მიმდინარეობს. ბეჟაშვილის თქმით, აღნიშნული ინსტიტუტის წარმომადგენლები სასამართლო დარბაზებში აღსრულების პროცესში წესრიგის დასაცავად კანონით მინიჭებულ ყველა საშუალებას აქტიურად გამოიყენებენ. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის განმარტებით, სასამართლო მარშალის ინსტიტუტი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, აშშ-ში მოქმედებს. **პრაიმ-ნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

გიორგი თავდგირიძე: „ლევან ნიკოლეიშვილმა ჩემი და საკუთარი ღირსება უნდა დაიცვას"

ვერიკო თევზაძე

"მე მოვითხოვ ჩემი უშუალო უფროსისაგან, რომ პატივი მცეს და დაიცვას ჩემი ღირსება, ამით ის საკუთარ ღირსებასაც დაიცავს. ქვეყნის შეიარაღებული ძალები მარტო ტექნიკას და შეიარაღებას არ წარმოადგენს! აქ უმთავრესია დისციპლინა და პატივისცემა ზემდგომსა და ხელქვეითს შორის," - თავდაცვის მინისტრის ბრძანების გარეშე გათავისუფლებული, თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორი გიორგი თავდგირიძე ამ განცხადებას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის ლევან ნიკოლეიშვილის გასაგონად აკეთებს.

გიორგი თავდგირიძის და სასწავლო დარგში აკადემიის პრორექტორის პაატა პაპავას განმარტებით, აკადემიაში რეფორმები წარმატებით დაიწყო, გაუმჯობესდა სასწავლო გარემო და ამაღლდა სწავლების დონე. თავდგირიძე ითხოვს, რომ 21-ე საუკუნეში ცივილიზებული ფორმით აუხსნან, რატომ არიან უკმაყოფილო სამხედრო აკადემიაში არსებული მიღწევებით: **"თავდაცვის მინისტრი, სამოქალაქო პირი აცხადებს, რომ მე შედეგს ვერ მივაღწიე. ჩემი სამხედრო საქმიანობის შეფასების საფუძველი აქვს სამხედრო პირს, თუნდაც იგივე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საბჭოს, რომლის არსებობის შესახებ ჩემთვის უცნობია. თანამდებობის დაკარგვა პრობლემას არ წარმოადგენს. პრობლემა ისაა, რომ ყველაფერი აგებულია პიროვნულ ურთიერთობებზე. მე ურთიერთობა სისტემასთან უნდა მქონდეს."**

"მე მოვითხოვ ჩემი უშუალო უფროსისაგან, რომ პატივი მცეს და დაიცვას ჩემი ღირსება, ამით ის საკუთარ ღირსებასაც დაიცავს", - ამბობს გიორგი თავდგირიძე.

აკადემიის პრორექტორის, პაატა პაპავას თქმით, მისთვის წინასწარ არ უცნობებიათ იმის შესახებ, რომ გენშტაბის კომისია აკადემიაში მიდიოდა შესამოწმებლად, რაც დაუშვებელია. **"მეორეც,** - დასძენს პაპავა, - **ოქრუაშვილმა ამ კომისიის დასკვნის გაკეთებამდე საჯაროდ განაცხადა, რომ აკადემიის რექტორის მუშაობით უკმაყოფილოა. ეს არის პირდაპირი მითითება კომისიისთვის."**

თავდგირიძესა და გენშტაბის უფროს ლევან ნიკოლეიშვილს შორის შედგა საუბარი, სადაც გენშტაბის უფროსმა განაცხადა, რომ აკადემია უნდა გაუქმდეს. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ყოფილმა რექტორმა ჟურნალისტებს განუცხადა, მან ნიკოლეიშვილისგან ვერ მოისმინა არგუმენტები იმის შესახებ, თუ რა მოსაზრებით ეთანხმება აკადემიის გაუქმებას.

თავდგირიძის თქმით, ოფიცერთა მომზადების ერთწლიანი მოდელი, რომელსაც ემხრობიან დღევანდელ გენშტაბში, დანერგილია ინგლისში, სადაც სამხედრო მომზადება მაღალ დონეზე დგას როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში.

"ამერიკაში დაიწყეს მსჯელობა, საჭირო იყო თუ არა სამხედრო აკადემია და, ბოლოს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აკადემიისთვის ბიუჯეტი გაეზარდათ, - აღნიშნავს პაატა პაპავა და დასძენს, - **დიდი ბოდიში, მაგრამ აკადემიის გაუქმება-არგაუქმება ვიღაცების სურვილზე დამოკიდებული არ უნდა იყოს. დროა, საზოგადოებამ დასვას შეკითხვა: როგორი ოფიცრების გვერდით უნდა ვიცხოვროთ? სად და როგორ უნდა მოვამზადოთ ოფიცრები? მონები გვჭირდება თუ პასუხისმგებლობით მორჩილი ადამიანები?"**

გუშინ ჟურნალისტებმა გიორგი თავდგირიძეს შეკითხვის სახით შეახსენეს, რომ თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში გაკეთდა ანალიზი ცხინვალის შარშანდელი ბრძოლების შესახებ. **"ცხინვალში მარცხის ძირითადი მიზეზი (80 პროცენტი) ცუდი დაგეგმარება იყო, მას ნაწილობრივ (20 პროცენტი) განაპირობებდა ჯარის გაუწვრთნელობა. როცა ადამიანს არ ჰყოფნის კომპეტენცია, შედეგად ვიღებთ ჩაპაევის ბრძოლას,"** - თავდგირიძის პოზიცია ცხინვალის მოვლენებზე უცვლელია. **"ჩემთვის წარმოუდგენელია, მომავალი ოფიცრებისათვის გაკეთებული ეს ანალიზი გამხდარიყო ჩემი გათავისუფლების მიზეზი,"** - აცხადებს ყოფილი რექტორი.

მორიგი ცვლილებები ქართულ სამართალწარმოებაში

ხათუნა ჯანგირაშვილი

რეფორმით გათვალისწინებული სასამართლოების გამსხვილების პროცესი მხოლოდ დედაქალაქში განხორციელდა. ამ ცვლილების მიხედვით, თბილისის ხუთი რაიონული სასამართლოს ნაცვლად, ერთი – თბილისის საქალაქო სასამართლო შეიქმნა, რომელიც ჯერჯერობით უზენაესი სასამართლოს ერ-ერთ სართულზეა განთავსებული. უახლოეს მომავალში სასამართლოების გამსხვილების პროცესი რეგიონებსაც შეეხებათ.

მაგალითად, თუკი ამჟამად ლენტეხში, ცაგერში, ამბროლაურში და ონში ცალ-ცალკე რაიონული სასამართლოები არსებობს, გაერთიანების შემდეგ ოთხივე რაიონს ერთი გამსხვილებული - ამბროლაურის სასამართლო მოემსახურება. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი სამი რაიონი სასამართლოს გარეშე დარჩება. სამივე რაიონში დაინიშნებიან მაგისტრი მოსამართლეები, რომლებიც მოსახლეობის ისეთ წვრილმან დავებს განიხილავენ, რომელთა სარჩელის ფასი არ აღემატება 2 ათას ლარს. გარდა ამისა, მაგისტრ მოსამართლეს შეეძლება, ასევე, განიხილოს საოჯახო დავები და აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხიც. სასამართლოებში ახალი კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვლილებების მიხედვით, უფრო რთული საქმეების განხილვის უფლება მაგისტრ მოსამართლეებს არ ექნებათ. .

ერთი სიტყვით, სასამართლოების გამსხვილების სქემით, 2006 წლისთვის საქართველოში 15 რაიონული სასამართლო იქნება. ახალი კანონმდებლობის მიხედვით, გამსხვილებულ რაიონულ სასამართლოებში პირველი ინსტანციით განიხილება ყველა კატეგორიის საქმე. რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის ან გადაწყვეტილების გასაჩივრება მხარეს სააპელაციო სასამართლოში შეუძლია, თუმცა სააპელაციო სასამართლო ყველა საჩივარს არ მიიღებს. იმ შემთხვევაში, თუკი სამოქალაქო საქმეზე დავის საგანი 1000 ლარს არ აღემატება, სააპელაციო სასამართლო ასეთ საჩივარს არ განიხილავს.

ახალი კანონმდებლობითვე, სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გზა უზენაესი სასამართლოსკენ მიდის. უზენაესი სასამართლო ბოლო ინსტანციაა და მხოლოდ საკასაციო საჩივრებს განიხილავს (შეგახსენებთ, რომ აქამდე უზენაესი სასამართლო გარკვეული კატეგორიის საქმეებს პირველი ინსტანციითაც იხილავდა). სააპელაციო სასამართლოში განხილულ სამოქალაქო საქმეზე საჩივარს უზენაესი სასამართლო არ მიიღებს, თუკი საჩივრის საგნის ღირებულება 50 ათას ლარს არ აღემატება.

და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: უზენაესი სასამართლო არაქონებრივ დავებზე საჩივრებს არ მიიღებს, მაგრამ გამონაკლისი იქნება ისეთი დავები, რომლებიც სიტყვის თავისუფლებას ეხება; ასევე, გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევებზეც, როცა განსახილველი საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისთვის.

რეფორმა სასამართლოებში ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებასაც ითვალისწინებს - ანუ თუკი აქამდე სხვადასხვა მოსამართლეს ერთი და იგივე შინაარსის საქმეზე ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილებები გამოჰქონდა, რეფორმების შედეგად უზენაეს სასამართლოს სურს, ე.წ. ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა დაამკვიდროს; ანუ ერთი და იგივე შინაარსის საქმეებზე მოქალაქემ, დაახლოებით, მაინც გათვალოს მოსამართლის გადაწყვეტილება. სწორედ ამიტომ, გამონაკლისის სახით, სამოქალაქო საქმეებზე უზენაესი სასამართლო საჩივარს მაშინაც მიიღებს, თუკი დავის საგნის ღირებულება 50 000 ლარზე ნაკლები იქნება; ასევე, მიიღება საჩივარი, თუკი საქმე ქვემდგომ ინსტანციაში განხილულია მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევებით.

იგივე საფუძვლით, უზენაესი სასამართლო მიიღებს საჩივარს სისხლის და ადმინსიტრაციულ საქმეებზე.

ახალ კანონმდებლობაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა. თანამდებობის პირებს ამიერიდან რაიონული სასამართლოები გაასამართლებენ. აქამდე მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობის პირს, ხულიგნობაც რომ ჩაედინა, მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე მაინც უზენაეს სასამართლოს უნდა განეხილა. ახალი კანონით კი, ჩინოვნიკების მიერ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაული მხოლოდ რაიონის სასამართლოს განსახილველია.

კანონში სიახლეა ჩვენებასთან დაკავშირებითაც. ხშირად სასამართლო პროცესზე დაკავებულები გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას უარყოფენ და ამბობენ, რომ ეს ჩვენება მას ძალის გამოყენებით, დაშინებით ან მოტყუებით დააწერინეს და საქმის სასამართლო განხილვისას გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას რადიკალურად ცვლიან. აქამდე მოსამართლის არჩევანზე იყო დამოკიდებული, გადაწყვეტილების ან განაჩენის გამოტანის დროს რომელ ჩვენებას გაიზიარებდა – წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულს, თუ – მართლმსაჯულებისთვის. ახალი კანონი კი მოსამართლეს უკვე ავალდებულებს, მხოლოდ სასამართლოზე მიცემული ჩვენება გაიზიაროს. გამონაკლისი მხოლოდ მაშინ დაიშვება, როცა გამოძიების დროს მიცემული ჩვენება მტკიცებულებებით სრულად იქნება გამაგრებული - მაგალითად, თუკი ბრალდებული ჩვენებაში ირწმუნება, რომ მან ბინა გაქურდა, გამოძიებას მტკიცებულებად უნდა ჰქონდეს, მინიმუმ, ამ ბინიდან მისი თითების ანაბეჭდი მაინც.

დაბოლოს, კიდევ ერთი სიახლე, რომლის შესახებაც "24 საათი" უკვე წერდა: წინასწარი პატიმრობის ვადა 9 თვიდან 4 თვემდე მცირდება. ასე რომ, პროკურატურა იძულებული იქნება, ბრალდებულისთვის აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, როცა მას იმედი ექნება, რომ ოთხი თვის შემდეგ პატიმარი გასამართლებელი და გარეთ გამოსაშვები არ ეყოლება.

პანკისელები ხელისუფლებას ადანაშაულებენ

პირველი გვერდიდან

პანკისში გვარებს შორის შუღლი თავდაპირველად მას შემდეგ გაჩნდა, რაც სოფელ ჯოყოლოს მკვიდრ ვასილ აჩოშვილის მკვლელობის საქმე, როგორც გარდაცვლილის ახლობლები ამბობენ, პროკურატურამ მიჩქმალა.

მიმდინარე წლის მარტში დუისელმა ვისრეგი ხანგოშვილმა პირუტყვის სადგომში უცნობი მამაკაცის გვამი აღმოაჩინა. გაირკვა, რომ გარდაცვლილი იყო სოფელ ჯოყოლოს მკვიდრი, 26 წლის ვასილ აჩოშვილი, რომელსაც, როგორც გარდაცვლილის ახლობლები ამბობენ, კეფაში ცეცხლსასროლი იარაღით ჰქონდა ჭრილობა მიყენებული. სამართალდამცველები კი დღემდე ამას არ აღიარებენ და საქმის გამოძიებაც ჭიანურდება. მოგვიანებით ისიც გახდა ცნობილი, რომ ვასილ აჩოშვილი კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანებმა მოკლეს, რაც, სავარაუდოდ, ქურდულ გარჩევას უკავშირდებოდა.

ვითარების გასარკვევად გარდაცვლილის ახლობლებმა რაიონულ პროკურატურას არაერთგზის მიმართეს. მათი საშუალებით, სამართალდამცველებისთვის ცნობილი გახდა მკვლელის ვინაობა, მაგრამ, ოჯახის წევრების განცხადებით, ახლობლების ნათქვამს ძალოვნები არაფრად აგდებდნენ.

"ჩვენ არ გვინდა, ქისტები ერთმანეთს დავუპირისპირდეთ და სისხლი დაიღვაროს. სამართალდამცველების ქმედება კი სწორედ ამისკენ გვიბიძგებს. ჩვენთან ამის ტრადიციაა და უდანაშაულო ადამიანის მოკვლას არავის შევარჩენთ," - ამბობენ გარდაცვლილის ახლობლები.

რამდენიმე დღის წინ ჩატარებული სისხლიანი სპეცოპერაციით, როგორც პანკისელები ამბობენ, ხელისუფლებამ საწადელს მიაღწია. იმის გამო, რომ ავთანდილ გუმაშვილმა ოჯახის ღირსება დაიცვა, იგი სამართალდამცველებმა საკუთარ სახლში ჩაწვეს. სწორედ ძალოვნების ამგვარი ქმედებების გამო, უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარემ პანკისში - სულეიმან გუმაშვილმა თანამდებობა დატოვა. მისი თქმით, რაც მოხდა, ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან მდგომარეობის შეუსწავლელად გადადგმული ნაბიჯია. იგი იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ასეთი რამ პანკისში ჩეჩენი მებრძოლების აყვანის დროსაც არ მომხდარა. **"მე, პირადად, შეურაცხყოფილი ვარ და ამიტომაც ვტოვებ თანამდებობას. პოლიციამ ნარკომან და უვარგის კაცს უფრო დაუჯერა. კი მაგრამ, რაღაცას რომ გეგმავ, სიტუაციაში ხომ უნდა გაერკვე? რისთვის ჰყავს ხეობას უხუცესთა საბჭო? ხელისუფლებამ ამგვარი საქციელით გვარებს შორის ურთიერთობის გამწვავებას შეუწყო ხელი. ჩვენ ისეთი ტრადიციები გვაქვს, რომ სისხლს მაინც აიღებენ და ეს მტრობა საშვილიშვილოდ გაგრძელდება. ასეთი რამ შევარდნაძის დროს არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ ყველას გვახსოვს, როგორი სპეცოპერაციები ტარდებოდა ხეობაში მებრძოლების ასაყვანად,"** - ამბობს "24 საათთან" საუბარში უხუცესთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე. იგი არ გამორიცხავს, რომ ასეთი მკაცრი განცხადების გამო სამართალდამცველებმა მისი დაპატიმრება გადაწყვიტონ.

ამ დროისთვის ხეობაში სიტუაცია სტაბილურია, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხეობის უხუცესები არ გამორიცხავენ, რომ აქ მალე სიტუაცია უმართავი გახდეს. რაც შეეხება ავთანდილ გუმაშვილის ოჯახს, მისთვის, კომპენსაციის სახით, საქართველოს მთავრობა შვიდი ათასი დოლარის გადაცემას აპირებს. ამის შესახებ ინფორმაცია, სატელეფონო საუბარში, დუისის გამგებელმა ჯარაფ ხანგოშვილმაც დაადასტურა. **"არ ვიცი, მისცეს თუ არა ფული გარდაცვლილის ოჯახს, მაგრამ მეც მაქვს ინფორმაცია, რომ სახელმწიფო მათ, სავარაუდოდ, შვიდი ათასი დოლარით დაეხმარება,"** - ამბობს დუისის გამგებელი.

თუ ვინ დაიკავებს პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას, ჯერჯერობით, გაურკვეველია.

უცხოეთი

კონდოლიზა რაისი იაპონიას სტუმრობს

თიკო მაჭარაშვილი

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი კორეის ბირთვულ პროგრამაზე მოლაპარაკებების წინ, რომელიც ივლისის ბოლოს გაიმართება, აზიის ქვეყნებს სტუმრობს. ამერიკელი დიპლომატი გუშინ იაპონიაში თავის კოლეგას ნობუტაკა მაციმურას შეხვდა.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი გუშინ ვიზიტით ტოკიოში იმყოფებოდა. მან განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამაზე მოლაპარაკებები არ დასრულდება, სანამ ფხენიანი არ მიიღებს "სტრატეგიულ გადაწყვეტილებას", უარი თქვას თავის ბირთვულ ამბიციებზე.

თავის მხრივ, იაპონიაში ისარგებლეს კონდოლიზა რაისის ტოკიოში ჩასვლით და გამოთქვეს სურვილი, რომ აქტიურად ჩაერთონ ბირთვულ პროგრამაზე მოლაპარაკებებში, რომელიც ივლისის ბოლოს განახლდება. ამასთანავე, იაპონიამ მოითხოვა, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე, რომელშიც ექვსი ქვეყანა - ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეა, ჩინეთი, იაპონია, აშშ და რუსეთი მიიღებს მონაწილეობას, განიხილონ ცივი ომის დროს ფხენიანის მიერ გატაცებული იაპონიის მოქალაქეების საკითხი, რასაც ეწინააღმდეგება სამხრეთ კორეა.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა მხარი დაუჭირა ტოკიოს, მაგრამ ხაზი გაუსვა ამ შეხვედრაზე "ბირთვული ენერგიის" საკითხის განხილვის აუცილებლობას. **"ექვსი ქვეყნის მოლაპარაკებების მთავარი მიზანია, მოგვარდეს ჩრდილოეთ კორეასთან ატომური პროგრამის საკითხი"**, – აღნიშნა კონდოლიზა რაისმა თავის იაპონელ კოლეგასთან ნობუტაკა მაციმურასთან შეხვედრისას. **"რაც აუცილებლად გვესაჭიროება, ეს ჩრდილოეთ კორეის სტრატეგიული გადაწყვეტილებაა, რომ ის მზად არის, უარი თქვას ატომურ იარაღზე, რადგან ამ გადაწყვეტილების გარეშე ბირთვულ პროგრამაზე მოლაპარაკებების დამთავრება შეუძლებელია"**, - განმარტა ამერიკელმა დიპლომატმა.

ფხენიანი თანახმაა, რომ 25 ივლისიდან ხელახლა განიხილოს ბირთვული პროგრამის საკითხი ხუთ სახელმწიფოსთან ერთად. იაპონია კი შეეცდება, ამ შეხვედრაზე ხელახლა წამოიწყოს ერთი წლის წინ შეწყვეტილი მოლაპარაკებები და აიძულოს კომუნისტური კორეა, ნათელი მოჰფინოს 1970-1980 წლებში მის მიერ გატაცებული იაპონელების ბედს.

"ჩვენ არასდროს გვითქვამს, რომ, ბირთვული პროგრამის გარდა, სხვა პრობლემები არ საჭიროებს მოგვარებას, მაგრამ, პირველ რიგში, ამ სამიტზე ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა უნდა გადაწყდეს. თუმცა, აშშ ერთსულოვნად უჭერს მხარს იაპონიას, რომელიც ცდილობს თავისი მოქალაქეების ბედის გარკვევას", – განაცხადა კონდოლიზა რაისმა. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა, რომელსაც იაპონიიდან სეულში ელოდნენ, ნათლად არ გამოხატა თავისი აზრი - განიხილავენ თუ არა ივლისის ბოლოს ექვსი ქვეყნის შეხვედრაზე გატაცებული იაპონელების საკითხს.

სამხრეთ კორეამ გააკრიტიკა იაპონია, რომელიც დაჟინებით მოითხოვს, აღნიშნულ სამიტზე კიდევ ერთხელ განიხილონ ცივი ომის დროს გატაცებული იაპონელების საკითხი. სამხრეთ კორეა აცხადებს, რომ შეხვედრის მთავარი მიზანი ბირთვულ პროგრამაზე მოლაპარაკებებია, ხოლო რაც შეეხება გატაცებული იაპონელების ბედს, ეს სეულთან ორმხრივი მოლაპარაკებების გზით უნდა მოგვარდეს.

ფხენიანის კომუნისტურმა მმართველობამ აღიარა 13 იაპონელის გატაცების ფაქტი. გატაცებულებს იაპონურ ენასა და კულტურაზე უნდა აღეზარდათ ჩრდილოეთ კორეის აგენტები. 13 გატაცებულიდან ხუთი 2002 წელს დაბრუნდა სამშობლოში, ხოლო რვა, ჩრდილოეთ კორეას მტკიცებით, დაიღუპა. გატაცებულთა ოჯახები, მათი სიკვდილის დამადასტურებელი არასაიმედო წყაროების გამო, აცხადებენ, რომ ისინი ცოცხლები არიან და კომუნისტები, უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ ოჯახებში არ აბრუნებენ.

აფეთქებები ესპანეთში

ბასკურმა ტერორისტულმა ორგანიზაცია "ეტა"-მ ცოტა ხნის წინათ გამოცხადებული მორატორიუმი დაარღვია. გუშინ ბასკეთში აფეთქებათა ახალი სერია განხორციელდა.

ტერორისტებმა, 15-წუთიანი შუალედებით, ოთხი აფეთქება მოაწყვეს ბილბაოს მახლობლად მდებარე თბოელექტროსადგურზე.

აფეთქებებს წინ უსწრებდა გამაფრთხილებელი სატელეფონო ზარი ბილბაოს ერთ-ერთ გაზეთში. უცნობმა თავისი თავი "ეტა"-ს წარმომადგენლად გამოაცხადა და მოსალოდნელი აფეთქებების შესახებ გააკეთა განცხადება.

ზარის მეშვეობით პოლიციამ ელექტროსადგურის თანამშრომელთა და მახლობლად მცხოვრებთა ევაკუაცია მოასწრო. ასე რომ, აფეთქებების შედეგად არავინ დაშავებულა.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში "ეტა" ერიდება სისხლიან ტერაქტებს. მის მიერ ორგანიზებულ აქციებს ყოველთვის წინ უსწრებს გამაფრთხილებელი სატელეფონო ზარი. ამიტომაა, რომ, ორ წელიწადზე მეტია, ამ ერთ დროს ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციის ტერაქტებს მსხვერპლი არ მოჰყოლია (შეგახსენებთ, ტერორისტული ორგანიზაციის ისტორია გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და მის მიერ მოწყობილ ტერაქტებს დღემდე 850-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა).

გუშინ აფეთქების ხმა გაისმა ესპანეთის სიდიდით მეორე ქალაქ ბარსელონაშიც. კატალონიის დედაქალაქში ასაფეთქებელი მოწყობილობა იტალიის კულტურულ ცენტრთან ამოქმედდა. ბასკეთისგან განსხვავებით, ბარსელონაში აფეთქებას მსხვერპლი მაინც მოჰყვა - შემთხვევის შედეგად დაიღუპა სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლი, ხოლო პოლიციელი დაშავდა.

ჯერჯერობით არ არის ცნობები იმის შესახებ, იყო თუ არა ეს შემთხვევა ტერორისტული აქტი. პოლიცია გამოძიების დასრულებამდე ინფორმაციას არ ახმაურებს. თუმცა, ესპანურ მედიაში გაჩნდა აზრი, რომ აფეთქების ორგანიზატორი, შესაძლოა, იტალიური ანარქისტული მოძრაობა ყოფილიყო.

ორი სიტყვით

აფრიკა. გაერო-ს სამშვიდობო მისიის წარმომადგენელთა მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში 30 მშვიდობიანი მცხოვრები ცოცხლად დაწვეს.

სამხრეთ კივუს პროვინციის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებნი გაურკვეველი შეიარაღებული ფორმირების წევრებმა ერთ შენობაში შეჰყარეს და ცეცხლი წაუკიდეს. ვანდალური აქტის განხორციელებაში ეჭვმიტანილნი არიან ჰუტუს ტომის რუანდელი მეამბოხეები, რომელთა კონტროლსაც ექვემდებარება სამხრეთ კივუს პროვინციის დიდი ნაწილი. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

ლიბანი. ბეირუთთან ახლოს ავტომობილში დამონტაჟებული ბომბის ამოქმედების შედეგად დაიჭრა ლიბანის პროსირიული თავდაცვის მინისტრი ელიას მური. გარდა ამისა, პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაჭრილია 13 ადამიანი და დაღუპულია - 2. აფეთქების შედეგად დაზიანდა ახლოს მყოფი 7 მანქანაც. **"მადლობა ღმერთს, ცოცხალი ვარ. გამოჯანმრთელებას ვუსურვებ ჩემი პირადი დაცვის წევრებსა და იმ შემთხვევით გამვლელებს, რომლებიც დაიჭრნენ აფეთქებისას",** - განაცხადა საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ ელიას მურიმ. მაღალჩინოსნების წინააღმდეგ ასეთი სახის ტერაქტი ლიბანში წელს უკვე მესამედ განხორციელდა. წინა ორ შემთხვევას ჟურნალისტი ზამირ კასირი და კომუნისტების ყოფილი ლიდერი ჯორჯ ჰავი ემსხვერპლნენ. თებერვალში კი, დაახლოებით, ამგვარ ვითარებაში დაიღუპა ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი რაფიკ ჰარირი.

ტერაქტი დაგმო ოფიციალურმა დამასკომ. სააგენტო "სანა"-ს ინფორმაციით, სირიის ხელისუფლება ლიბანში განხორციელებულ ტერაქტებს ქვეყნის დესტაბილიზაციისაკენ მიმართულ ღონისძიებად აფასებს.

"ტერაქტები და მკვლელობები ლიბანის ეროვნული ერთიანობის დაშლისკენაა მიმართული", - აღნიშნულია სირიის ხელისუფლების ოფიციალურ განცხადებაში. ელიას მური სავადმყოფოში ლიბანის პრეზიდენტმა ემილ ლაჰუდმა (ეს უკანასკნელი მურის სიმამრია) რიგ მაღალჩინოსნებთან და დასავლელ დიპლომატებთან ერთად მოინახულა. **24 საათი**

გაერო-ს უშიშროების საბჭო გაფართოებისთვის ემზადება

გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ უახლოეს მომავალში ორგანიზაციაში განსახორციელებელ ცვლილებათა განხილვა დაიწყო, - იუწყება ბი-ბი-სი; კერძოდ, საუბარია გაერო-ს უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში 10 ქვეყნის დამატებაზე. ორგანიზაციის მომავალ კანდიდატთა შორის აფრიკის ქვეყნებიც განიხილება. "შავი კონტინენტის" წარმომადგენლებს, სავარაუდოდ, ორ ადგილს შესთავაზებენ.

ნანა ნასყიდაშვილი

გაერო-ს უშიშროების საბჭოში უახლოეს მომავალში გარკვეული ცვლილებების შეტანა იგეგმება. რეზოლუციის პროექტის თანახმად, უშიშროების საბჭოს ამჟამინდელ 15 წევრს კიდევ 10 დაემატება, რომელთაგან ექვსი მუდმივი იქნება, ხოლო ოთხს როტაციის პრინციპით შეარჩევენ.

აღნიშნული პროექტის იდეა გერმანიას, ბრაზილიას, ინდოეთსა და იაპონიას ეკუთვნით, რომლებსაც ახალ ექვს წევრს შორის საკუთარი თავის ხილვა სურთ. ბუნებრივია, პროექტს ემხრობიან აფრიკული სახელმწიფოებიც – მათ ხომ ორ მუდმივ მანდატს ჰპირდებიან. თუმცა, დანარჩენებისგან განსხვავებით, რომლებიც ახალი მუდმივი წევრებისთვის ვეტო-ს უფლებაზე მორატორიუმის გამოცხადებას ეთანხმებიან, აფრიკული ქვეყნები ვეტო-ს უფლების თავიდანვე მინიჭების მოთხოვნით გამოდიან.

უშიშროების საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდის იდეას სახელმწიფოთა კიდევ ერთი ჯგუფი იზიარებს - "გაერთიანება კონსესუსის სახელით". მაგრამ, მათი თქმით, ეს მხოლოდ როტაციის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლის, პაკისტანის ელჩის, მუნირ აკრამის თქმით, ორგანიზაციაში ახალ მუდმივ წევრთა შესვლის შედეგად პრივილეგირებულ სახელმწიფოთა რიცხვი გაიზრდება. აღნიშნული რეზოლუციის განხილვა და მიღება, შესაძლოა, ამ კვირაშივე განხორციელდეს.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს გაფართოების თაობაზე საუბარი წლების განმავლობაში მიმდინარეობს, თუმცა გაერო-ს წევრ ქვეყნებს შორის პროექტის განხორციელების დეტალების გარშემო გარკვეული უთანხმოება არსებობს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ დაწყებულმა დებატებმა გაერო-ს სხვა რეფორმები, გარკვეულწილად, ჩრდილში მოაქცია. გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის თქმით, უშიშროების საბჭოს გაფართოების საკითხი, სასურველია, მსოფლიო ლიდერთა სამიტამდე, სექტემბერამდე გადაწყდეს.

მთავარია, რა სურს ხალხს

პირველი გვერდიდან

მე არ ვკამათობ იმაზე, მთავრობის მიერ შემოთავაზებული კანონი ანტიდემოკრატიულია თუ არა; "ვარდების რევოლუცია" ხალხმა მოახდინა, მაშინ მოდით პატივი ვცეთ მათ და ისეთ საკითხზე, როგორიც, მაგალითად, არის მერის არჩევის წესი, მას დავეკითხოთ. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს აწმყოსა და მომავლისათვის.

ჩვენ უნდა მოგვცენ იმის უფლება, რომ შევაგროვოთ რეფერენდუმის ჩატარებისათვის ხელმოწერების საჭირო რაოდენობა. პრობლემა კი სწორედ ეს ნებართვა ხდება, რადგან ის, რომ ხელმოწერებიც შეგროვდება და ხალხიც ამას მხარს დაუჭერს, ეჭვგარეშეა. ჩვენი ინფორმაციით, ემზადებიან, რომ უარი გვითხრან. მე კი მგონია, რომ თუ ხელისუფლებას ელემენტარული თვითგადარჩენის ინსტიქტი მაინც აქვს, ამ გზით უნდა ატაროს ქვეყანა, რათა შემდგომში, ხელისუფლების ცვლილება, რაც აუცილებლად მოხდება, ამ ფორმით მოხდეს, ვიდრე სხვა ფორმით, რისი პატარა პრეცედენტი და პირველი სიგნალი მოჭიდავეებთან დაკავშირებულ მოვლენებით ვნახეთ. ეს თავისთავად სისულელე იყო, მაგრამ ამ სისულელემ გამოაშკარავა ისეთი ელემენტები, რაზეც ბევრი არ ფიქრობდა. საზოგადოება იქნება ნეიტრალური, ხალხი არ ჩაერევა და თუ იქნება შეტაკება, ისევ ცალკეულ ჯგუფებს შორის.

დედაქალაქის მერი თუ იქნება არჩევითი და ამას მოსახლეობის 95 პროცენტი უჭერს მხარს, ის პასუხისმგებელი იქნება სწორედ ხალხის წინაშე, რადგან ეცოდინება, რომ სულელური ნაბიჯების და გადაწყვეტილებების შემთხვევაში, 4 წელიწადში მას გადაირჩევენ.

- საერთაშორისო ექსპერტები აცხადებენ, რომ თბილისის საკრებულოსა და მერის არჩევის წესი არ არის ანტიდემოკრატიული. როგორია თქვენი არგუმენტი იმისა, რომ საჭიროა, მერი იყოს არჩევითი?

- მე არ მაინტერესებს საერთაშორისო საზოგადოების აზრი ამ საკითხზე. ისინი ერთ დროს ედუარდ შევარდნაძეს ჯეფერსონსაც ადარებდნენ, დღეს კი აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა სულ სხვა რამ ისაუბრა, როცა თბილისში იყო ჩამოსული.

მე არ მინდა, რომ ხალხი მხოლოდ რევოლუციის მასალად იყოს გამოყენებული. მათ საკვანძო საკითხები უნდა გადაწყვიტონ და ამის მზაობა არის კიდეც, რაც სწორედ რევოლუციის დღეებში დადასტურდა.

ხელისუფლებიდან იყო არგუმენტი, თითქოს მერი შესაძლოა, პრეზიდენტის ალტერნატივა გახდეს. მე ამაში ვერაფერს საგანგაშოს ვხედავ, რადგან შენ თუ უკეთესს გააკეთებ, გაიმარჯვებ კიდეც. მაგრამ, საქმე ის არის, რომ დღევანდელი ხელისუფლება ნებისმიერ ნორმალურ არჩევნებში დამარცხდება, რასაც ადასტურებს საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი და ეს ახალი კანონი.

- ხელისუფლებით უკმაყოფილო მოსახლეობა ოპოზიციას მიჰყვება ხოლმე. როგორია ქვეყანაში ოპოზიცია დღეს?

- მინიმუმ გამოცოცხლებული, რაც უკვე არ არის ცუდი. ცხადია, საჭიროა გაერთიანება და არ არის აუცილებელი - იდეოლოგიური. ბევრი ფიქრობს, რომ ოპოზიციის გაერთიანებას ხელს უშლის ლიდერთა ამბიციები, სინამდვილეში კი სწორედ დიდი ამბიციების მქონე პირები ერთიანდებიან.

ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა, რაც ვფიქრობ, აუცილებელია, შესაძლებელია მხოლოდ სერიოზული ალტერნატიული პოლიტიკური ძალის მეშვეობით. დანარჩენი დამოკიდებულია ოპოზიციაზე. მე მზად ვარ. მიმდინარეობს კონსულტაციები, იგივე რეფერენდუმის თაობაზე. ვფიქრობ, ნელ-ნელა ეს რაღაც სახეს მიიღებს და შემოდგომისთვის უკვე რაღაც გამოიკვეთება.

- თქვენი ხედვა ხელისუფლების პოლიტიკაზე საქართველოში არსებულ კონფლიქტურ ვითარებებთან მიმართებაში. რამდენიმე დღის წინ, ბათუმში სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა. თქვენ როგორ აფასებთ ამ ნაბიჯებს?

- ეს კონფერენცია, მგონი, გასართობად მოეწყო, ხოლო ხელისუფლების პოლიტიკა კონფლიქტებთან მიმართებაში საერთოდ არ არსებობს. სისულელეა იმის თქმა, რომ ცხინვალისა და აფხაზეთის კონფლიქტები ისევე მოგვარდება, როგორც აჭარის. არის ორი გარემოება, რაც ზედაპირზევე დევს. ერთი არის ის, რომ აჭარაში ცხოვრობენ ქართველები და შესაბამისად იქ არ ყოფილა ეთნიკური დაპირისპირების მომენტი. და მეორეც, აჭარა არ ესაზღვრება რუსეთს. თუნდაც ამ ორი ფაქტორის გამო, აჭარის მოვლენების განმეორება წარმოუდგენელია.

გასულ ზაფხულს მომხდარი "დემოკრატიული შტურმი" იყო აბსოლუტური იდიოტიზმი. დაიღუპნენ ადამიანები და გაუარესდა როგორც შიდა, ისე საგარეო ფონი. ჩვენ დღეს ამ საქმეში საერთაშორისო ასპარეზზე მოკავშირე პრაქტიკულად აღარ გვყავს.

მე ორჯერ ვიყავი ბოლო დროს მოსკოვში და მინდა გითხრათ, რომ იქ ძალზე საინტერესო, სერიოზული ცვლილებები მიმდინარეობს. დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, რაც შესაძლოა, საქართველოსთვის პლუსიც იყოს და მინუსიც. ბევრი რამ იცვლება, ყველაფერი ხდება ადეკვატური. იმის ნაცვლად, რომ დაემუქრონ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას, გულწრფელად უნდა გახდნენ ამ დამოუკიდებლობის ქომაგები, რადგან გააცნობიერეს, რომ ამით არაფერს კარგავენ. ამ რამდენიმე ხნის წინ კი საკითხი ასე არ იდგა. ამიტომ, ყველაზე ცუდი არის უშედეგო, უაზრო ლანძღვა.

მაგალითად, რუსეთის მთავრობამ რომ დასვას საკითხი ენერგომატარებლების გაძვირების თაობაზე, რა არგუმენტი გვექნება ჩვენ მათ გასამტყუნებლად? ის მარტივად ამბობს, რომ გიწევდა შეღავათს, შენ კი აღარ გინდა მეგობრობა და მისი ნებაა, გაგიძვიროს მოწოდება. ჩვენ კი საპასუხო არგუმენტი არ გვექნება.

რაც შეეხება ცხინვალის თემას, თუ ჩვენი ხელიფულება მას სამხრეთ ოსეთს არქმევს, ის მეორე დღესვე დასვამს საკითხს, გაერთიანდეს ჩრდილოეთ ოსეთთან. ისინი ამ ინტერესს არც მალავენ. და თუ ჰქვია სამხრეთ ოსეთი და ამავდროულად არსებობს ჩრდილოეთ ოსეთი, რა არგუმენტი გაქვს შენ ამის საწინააღმდეგოდ?

ავიღოთ დასავლეთის პოლიტიკა ცხინვალის მიმართ. არ არსებობს ქვეყანა, რომელიც ჩვენ გამო დაუპირისპირდება რუსეთს, თან მაშინ, როდესაც საერთაშორისო ტერორიზმი მძლავრობს. დასავლეთი მზად არის, დაგეხმაროს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, პრობლემა ჩვენ უნდა მოვაგვაროთ, უნდა მოვაგვაროთ რუსეთთან ერთად. ჩვენი გულისთვის ცხინვალს და რუსეთს არავინ დაესხმება თავს და ნამდვილად უადგილოა მატარებლის ფანჯრიდან სულელური განცხადებების გაკეთება.

მოდით, მივაქციოთ ყურადღება ერთ მომენტს. მთავრობის ინიციატივაში ეწერა, რომ სამხრეთ ოსეთის მმართველს ერქმევა მეთაური. ამის გამომქვეყნებიდან ერთი თვის თავზე, ჩრდილოეთ ოსეთში პრეზიდენტს მეთაური გადაარქვეს. ანუ არის აბსოლუტური ერთგვაროვნებისკენ სწრაფვა და ეს იმას ნიშნავს, რომ იქ თვალს ადევნებენ მოვლენების განვითარებას და ელოდებიან იმ ზღვრის გადალახვას, რომლის შემდეგაც გაერთიანებისას არ წარმოექმნებათ პრობლემები.

ჩვენთან კი არავინ არაფერს აკვირდება.

ჩვენ არ უნდა დავმალოთ ის ზღვარი, რომელსაც ვერ გადავცდებით. ზღვარი, ჩემი აზრით, არის ცხინვალის ავტონომიური ოლქი. ამაში ოსი ხალხისა და დემოკრატიის მიმართ დანაშაულებრივს მე ვერაფერს ვხედავ.

- რაც შეეხება აფხაზეთს. თქვენი აზრით, როგორია ვითარება ამ მხრივ?

- გაგიკვირდებათ, მაგრამ მიმაჩნია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება უფრო ადვილია, ვიდრე ცხინვალის. ხელისუფლებას აქვს პრიმიტიული წარმოდგენები, როდესაც ფიქრობს, რომ აფხაზეთი უფრო დიდი ტერიტორიაა და მისი მოგვარება უფრო ძნელია.

აფხაზეთში ჩვენ ეთნიკური ქართველი გვყავდა მოსახლეობის 47 პროცენტი, ხოლო ცხინვალში – 30 პროცენტი. ეს არის მათი განმასხვავებელი ფაქტორი. აფხაზეთში მეტი კომპრომისის საშუალებაა. ჯერ ერთი, იქ არ არის ჩრდილოეთ აფხაზეთი და მეორეც, წარმოუდგენელია მათი რუსეთთან მიერთება, რადგან დედამიწაზე მინიმალურად მაინც მოქმედებს საერთაშორისო საზოგადოება და საერთაშორისო სამართალი.

ცხინვალში კი გადამწყვეტი იდეა არის ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანება.

ეს არ არის ფუჭი სიტყვები. მაგალითისთვის საბერძნეთის შემთხვევაც გამოდგება. საბერძნეთი მსოფლიო საზოგადოების წინაშე აყენებს საკითხს და იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკას მაკედონიას უკრძალავს, იწოდებოდეს მაკედონიად. აიძულებს, იწოდებოდეს იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია, რადგან საბერძნეთში არის ამ სახელწოდების მხარე, პროვინცია და ბერძნები თვლიან, რომ თუ გაჩნდება სახელმწიფო მაკედონია, აბსოლუტურად ლოგიკური იქნება მათი მხრიდან მოთხოვნა იგივე სახელწოდების მხარესთან შეერთების თაობაზე.

- და ბოლოს, როგორ ხედავთ საქართველოს ახლო მომავალს?

- ამ ხელისუფლების პირობებში, სამწუხაროდ, ჩვენი მომავალი არის გაურკვევლობა.

სულ უფრო და უფრო იჩენს თავს კრიზისის ნიშნები ეკონომიკაში. როდესაც მიზანი მხოლოდ ბიუჯეტის შევსებაა, ისიც წართმევის ხარჯზე, არ აქვს მნიშვნელობა კანონიერი თუ უკანონო გზით, ეს თავს იჩენს.

არ ხდება არანაირი ინვესტირება. რა გარიგებაც იყო, ჩაიშალა. უკანასკნელი მაგალითია აეროპორტის მშენებლობა. სააკაშვილის ბიძის მონაწილეობით რომ ხდებოდა, ამიტომაც გაიმარჯვა იმ კონკრეტულმა კომპანიამ და სხვათა შორის, ამიტომაც ჩაიშალა.

რაც მთავარია, საერთაშორისო ბიზნესსაზოგადოებაში ცნობილია, რომ საქართველოში არაფერი არ უნდა დააბანდო. იმ მოჭიდავეების დაკავებას მოყოლებულმა ამბებმა, ქუჩაში ავტომატიანი ხალხის გამოსვლამ კი მსოფლიო დაარწმუნა, რომ აქ კიდევ მოხდება რაღაც უბედურება.

მე, უბრალოდ, მინდა, ფრთხილად ვიყოთ, რომ წყალში არ ჩაგვეყაროს დამოუკიდებლობისათვის ამდენი ბრძოლა.

ოპოზიციის თავყრილობა, რომლის შესახებაც არავის უნდა სცოდნოდა

პირველი გვერდიდან

დღემდე, ოპოზიციურმა პარტიებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში ხელისუფლებას ერთიან კანდიდატებს დაუპირისპირებდნენ. გუშინ გადაწყდა, რომ ოპოზიცია, საერთო კანდიდატის გამოსავლენად, შუალედურ არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე, პრაიმერს ჩაატარებს. ანუ, იმ ოლქებში, სადაც შუალედური არჩევნები უნდა გაიმართოს, ერთმანეთს ოპოზიციური კანდიდატები გაეჯიბრებიან. პრაიმერში გამარჯვებული კანდიდატი შუალედურ საპარლამენტო არჩევნებზე უკვე სახელისუფლებო კანდიდატს დაუპირისპირდება.

"მთავარია, პრინციპულ თანხმობას მივაღწიოთ, ტექნიკურ პრობლემებს ანუ იმას, თუ როგორ და რა ფორმებით ჩატარდება არჩევნები, მომავალში გადავწყვეტთ. პრაიმერის ჩასატარებლად შეიქმნება საარჩევნო კომისია, რომელშიც შევლენ როგორც პარტიები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. პრაიმერის წინ ხელი მოეწერება დეკლარაციას, რომელშიც განსაზღვრული იქნება პარტიების მოვალეობები და ვალდებულებები," - განაცხადა, თავის მხრივ, "მემარჯვენეების" ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა კაციტაძემ. მისივე თქმით, პრაიმერში შესაძლოა, სხვა პარტიებმაც მიიღონ მონაწილეობა.

"მემარჯვენეებიდან" პრაიმერში მონაწილეობას მიიღებენ გიორგი მოსიძე (ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი), ნინო ქვარიანი (ტყიბულის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი) და ვახტანგ ზოიძე (შუახევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი).

"კონსერვატორები" კანდიდატურებს 24 ივლისს წარადგენენ. "რესპუბლიკელები" და "ლეიბორისტები" კი, ამ ეტაპზე კანდიდატურების თაობაზე ჯერაც არ ჩამოყალიბებულან.

შესწორება

2005 წლის 18 ივნისის გაზეთ "24 საათის" 136-ე (996) ნომერში, სადაც გარდაბნის რაიონის გამგეობა აცხადებს კონკურსს აღთაკლიის საკრებულოს ტერიტორიაზე შ.პ.ს. "დუზდუს" ყოფილი საიჯარო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობების დროებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დაშვებილი იქნა შეცდომა: კონკურსი ნაცვლად 19 ივლისისა გაიმართება 15 ივლისს.

პერიფერიებში რაც ხდება, პრეზიდენტმა უნდა იცოდეს

გარდაბნის რაიონულმა გამგეობამ 2005 წლის 25 თებერვალს მიიღო №17 დადგენილება, რომლითაც ბათილად გამოაცხადა გარდაბნის რაიონი გამგეობის 2001 წლის 25 აპრილის №72 დადგენილების მე-8 პუნქტი და მის საფუძველზე 2001 წლის 17 აგვისტოს შ.პ.ს. "დუზდუ"-სთან დადებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება.

გამგეობის აღნიშნული გადაწყვეტილების ერთადერთ საფუძვლად დადგენილებაში მითითებულია გამგეობის შეცდომაში შეყვანა და მოტყუება იჯარის ხელშეკრულების გაფორმებისას, კერძოდ, დადგენილებაში გამგეობა აღნიშნავს: "1996 წლის 12 დეკემბერს სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება 3434 (აქედან - სახნავი კატეგორია - 263 ჰექტარი. სათიბი 504 ჰექტარი, საძოვარი - 2667 ჰექტარი) ჰა-ზე მიწის ფართზე დადებული იყო აგროფირმა "აღთაქლიასა" და გამგეობის შორის და არა შ.პ.ს. "აღტაკლიასთან". აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თვით "დუზდუც" არ წარმოადგენდა შ.პ.ს. "აღტაკლიას" სამართალმემკვიდრეს, იგი გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ 2001 წლის 13 მარტს გაატარა რეგისტრაციაში". რეგისტრაციის დღიდან მას გადახდილი აქვს ყველანაირი გადასახადები.

საქმეზე წარმოდგენილი იქნა მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ აგროფიმა "აღტაკლია", შ.პ.ს. "აღთაკლია" და შ.პ.ს. "დუზდუ" ერთი და იგივე სუბიექტია. აგროფირმა "აღთაკლიას" ბაზარზე 1997 წელს შეიქმნა შ.პ.ს. "აღთაკლია" და დადგენილი წესით გატარდა რეგისტრაციაში გარდაბნის რაიონულ სასამართლოში (ასლი თან ერთვის). ამდენად, უსაფუძვლოა სამართალმემკვიდრეობის არგუმენტით 2001 წლის 17 აგვისტოს იჯარის ხელშეკრულების გაუქმება, რადგან ჯერ ერთი აღნიშნული ხელშეკრულების დადების პირობად არ ყოფილა შ.პ.ს. "აღთაკლიასთან" შ.პ.ს. "დუზდუს" სამართალმემკვიდრეობა. სადაო საქმეზე მოიპოვება თავად გარდაბნის რაიონის გამგეობის 2001 წლის 5 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის №243 დადგენილება, რომლის დადგენილებით ნაწილში გამგეობა აკმაყოფილებს შ.პ.ს. "დუზდუ"-ს როგორც აგროფირმა "აღთაკლიას" სამართალმემკვიდრის წერილობით თხოვნას და 49 წლის ვადით სარგებლობაში აძლევს მიწის ნაკვეთს.

დამოუკიდებელი შეფასების საგანია გამგეობის 2005 წლის 25 თებერვლის №17 დადგენილების დასაბუთებითი ნაწილი. იმის გამო, რომ აღნიშნული საკითხი წმინდა სამართლებრივი ხასიათის ასკითხია, მკითხველისათვის ნაკლებ საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს, ამდენად, მასზე დეტალურად აღარ შევჩერდებით. მოკლედ შეიძლება აღინიშნოს, რომ გამგეობის სადაო აქტის მომზადებისა და გამოცემისას უხეშად იქნა დარღვეული ყველა ის არსებითი ნორმა, რომელთა დაცვა სავალდებულო წესით ევალება გამგეობას "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" შესაბამისად.

თუმცა, გარდაბნის რაიონის გამგეობის უკანონო ქმედებები მხოლოდ 2005 წლის 25 თებერვლის №17 დადგენილების გამოცემით როდი დასრულდა. ამ ისტორიას გაგრძელება გააჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური წერილით მოხდა გამგეობის გაფრთხილება 2005 წლის 25 თებერვლის №17 დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოში სარჩელის შეტანისა და ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე, გამგეობამ სრული იგნორირება გაუკეთა ამ ფაქტს და განაგრძო უკანონო ქმედებები სადაო მიწებთან დაკავშირებით. ცნობისათვის "საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის" 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული აქტის მოქმედება ჩერდება მისი სასამართლოში გასაჩივრების მომენტიდან.

მიუხედავად აღნიშნულისა, გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება სადაო მიწებზე მიღებული სათიბის და სხვა შემოსავლის ჩამორთმევის თაობაზე. მსგავსი ქმედება არავითარ კანონიერ ჩარჩოებში არ ჯდება. როგორც ჩანს, გამგეობა საკუთარი "წესებით" ცხოვრობს, რადგან გამგეობას სხვა ნორმატიულ მოთხოვნებთან ერთად, არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" მე-600 მუხლი აქვს ნანახი, რომლის შესაბამისად, საიჯარო ურთიერთობის ვადამდე მოშლის შემთხვევაში, მოიჯარეს (ამ შემთხვევაში შ.პ.ს. "დუზდუ"-ს) უნდა აუნაზღაურდეს მოსავალი, ან მიეცეს კომპენსაცია.

თუმცა, გამგეობა მხოლოდ ამ უკანონო გადაწყვეტილებას არ დასჯერდა და სასამართლო დავის დასრულებამდე მიიღო ახალი გადაწყვეტილება ამსადაო მიწების აუქციონის წესით გასხვისების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით კიდევაც განაცხადა 20005 წლის 18 ივნისის გაზეთ "24 საათში" (№136) და არც კი მოერიდა ამ უკანონობის საჯაროდ გაცხადებას.

ფაქტიურად გამგეობამ სრული იგნორირება გაუწია როგორც მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებს, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებას, რაც კონკრეტული მტკიცებულებებით (დოკუმენტებით) დასტურდება. სამართლებრივ ქვეყანაში სახელმწიფო თანამდებობის პირის ასეთი ქმედება სულ მცირე თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებად განიხილება, მასთან დაკავშირებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობით.

ხელისუფლებამ, რომელსაც სამართლებრივი ქვეყნის აშენების სურვილი აქვს, რეაგირების გარეშე არ უნდა დატოვოს ცალკეული ჩინოვნიკების, კონკრეტულ შემთხვევაში გარდაბნის რაიონის გამგებლის დავით ნადაშვილის და მისი მოადგილის დავით მაღრაძის უკანონო, ზღვარს გადასული მოქმედებები.

ადვოკატი: დარეჯან ბუცხრიკიძე

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
სსიფ GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით **მარნეულის რაიონი სოფ. თამარისის გაზსადენის რეაბილიტაციის მიკროპროექტი.** საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. თამარისის საკრებულოს სათემო კავშირთან **"თამარისი-2005"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"თამარისი-2005"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, მარნეულის რაიონი,
სოფ. თამარისის საკრებულოს შენობაში.

საკონტაქტო პირი **ლევან ბარათაშვილი,** სათემო კავშირი **"თამარისი-2005"**-ს თავმჯდომარე.

2005 წლის **14** ივლისიდან **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **5500** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, მარნეულის რაიონი,
სოფ. თამარისის საკრებულოს შენობა.

საკონტაქტო პირი **ლევან ბარათაშვილი**, სათემო კავშირი **"თამარისი-2005"**-ს თავმჯდომარე.

2005 წლის 12 აგვისტოს 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს 13:00 საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
სსიფ GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით **დუშეთის რაიონი სოფ. ფასანაურის წყალსადენის რეაბილიტაციის მიკროპროექტი.** საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფ. ფასანაურის** საკრებულოს სათემო კავშირთან **"ფასანაური-2005"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ფასანაური -2005"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, დუშეთის რაიონი,
სოფ. ფასანაურის საკრებულოს გამგეობის შენობაში.

საკონტაქტო პირი **დავით ქავთარაძე,** სათემო კავშირი **"ფასანაური-2005"**, ს თავმჯდომარე.

2005 წლის **14** ივლისიდან **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3200** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, დუშეთის რაიონი,
სოფ. ფასანაურის საკრებულოს შენობა.

საკონტაქტო პირი **დავით ქავთარაძე**, სათემო კავშირი **"ფასანაური-2005"**-ს თავმჯდომარე.

2005 წლის 16 აგვისტოს 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს 13:00 საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
სსიფ GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით **გარდაბნის რაიონი სოფ. ნორიოს წყალსადენის რეაბილიტაციის მიკროპროექტი.** საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფ. ნორიოს** საკრებულოს სათემო კავშირთან **"ნორიო-2005"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ნორიო-2005"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, გარდაბნის რაიონი,
სოფ. ნორიოს საკრებულოს შენობაში.

საკონტაქტო პირი **ალექსანდრე ქოპილაშვილი,** სათემო კავშირი **"ნორიო-2005"**-ს თავმჯდომარე.

2005 წლის **14** ივლისიდან **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3200** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, გარდაბნის რაიონი,
სოფ. ნორიოს საკრებულოს შენობა.

საკონტაქტო პირი **ალექსანდრე ქოპილაშვილი**, სათემო კავშირი **"ნორიო-2005"**-ს თავმჯდომარე.

2005 წლის 15 აგვისტოს 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს 13:00 საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ბერიშვილი

გურამ ოდიშარიას სვეტი

გასაუბრება 1998-2004 წლების დღიურთან

გაგრძელება

* ვაჟა-ფშაველა...

ფიროსმანი...

რამდენი ულირსი იწონებს თავს ამ სახელებით.

არავინ დახმარებია მატერიალურად ვაჟას, გარდა ერთი გლდანელი ფალავნისა.

არც ნიკო ფიროსმანს შესწევნია ვინმე.

არადა, როცა იმ წლების ქრონიკას ეცნობი, გაოცებული რჩები, ვის არ უწევდნენ თანადგომას იმდროინდელი მეცენატები. ხშირად - "დიდი კაცების" ოჯახებსაც; მათ, რომლებმაც მხოლოდ საკუთარ თავს მოახმარეს ის სიკეთე.

ვაჟა-ფშაველა, ფიროსმანი... ჩვენი ბავშვისსულა, ჩვენი ბედნიერი, ჩვენი ნატანჯი, ჩვენი ამამაღლებელი გენიოსები.

* რამდენი ბრიყვული სისასტიკეა ისეთ მსჯელობებში, როგორიცაა: - ახლა ჩვენს პრეზიდენტს გაამარჯვებინებენ, დაუბრუნებენ დაკარგულ ტერიტორიებს, მაგრამ ამისათვის მას მოუწევს პატარა ომის წარმართვა.

პრეზიდენტები, პრემიერები, სარდლები... ასეთნაირად მოაზროვნე კაცების სამყაროში ფარაონების ძველეგვიპტური გამოსახულებებივით გიგანტურები არიან, ხოლო მათი "პატარა ომების" ადამიანები კი ქინქლებივით მცირენი, უმნიშვნელონი, თითქმის არარსებულები.

* აფხაზეთის ომის მონაწილე იგონებს: მერამდენე დღეა, შორიდან ვესვრით ერთმანეთს - პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობს. საქმელი არ მოაქვთ, გვშია. უცებ ვამჩნევთ, ჩვენი სანგრის წინ ძროხა ბალახს ძოვს. ერთ-ერთი ჩვენგანი რისკზე მიდის, სანგრიდან ამოდის, იხსნის ავტომატს, ავტომატის ღვედს რქებზე გადაუგდებს ძროხას და სანგრისკენ ექაჩება. ძროხა თავს მძლავრად გადაიქნევს, ჯარისკაცი ეცემა, ძროხას კი ავტომატი კისერზე ჩამოეკიდება.

ავტომატიანი ძროხა აფხაზების სანგრებისკენ გარბის. ჯარისკაცები ხარხარებენ. შერცხვენილი მებრძოლი ძროხას მისდევს, ეწევა და ავტომატს აცლის; შემდეგ სირბილით ბრუნდება სანგარში. აფხაზები მას არ ესვრიან. მათი და ჩვენი სიცილი ცას სწვდება.

* ერთხელ ბიძაჩემმა ერთი ამბავი გაიხსენა: ჩემს სოფელში ერთი მეღვინე კაცი ცხოვრობდა, რომელიც ხშირად იმეორებდა - ჩემი ბიჭი კაცური კაცი უნდა გამოვიდესო.

ერთმა მოხუცმა ჰკითხა: ყველამ იცის, რომ შენ ღვინოში წყალს ურევ, ხომ ასეა. ჰოდა, ვის მოატანინებ ჭიდან იმ წყალს ღვინოში გასარევად? შენს ბიჭს ხომ?! ეს ასეა. ჰოდა, ამ საქმეს რომ შვილს აკეთებინებ, როგორ გინდა, მერე იგი კაცური კაცი გამოვიდეს?

* ერთ-ერთ სუფრაზე მეგობარი იხსენებს: ბავშვი ვარ, ბაბუას ვესტუმრე, მისი სახლის წინ, ქუჩაში, მეზობლის ბავშვებთან ერთად ვთამაშობ. ბაბუა, ბიძაჩემი, რამდენიმე მეზობელი ბაბუას სახლს ხურავენ. ვერ ასწრებენ გასაკეთებელს, მეორე დღეს თუ მოათავებენ გადახურვას.

ქუჩაში უცნობი მგზავრი მოდის, სხვა სოფლელი კაცი; ის საერთო გამარჯობას ამბობს. უცნობი წინ მიდის და უკან იხედება, სახურავზე ასულებს უყურებს და იმასაც ხედავს, რომ ისინი იმ დღეს საქმის გასრულებას ვერ მოასწრებენ. მერე პირჯვარს იწერს და თითქმის უხმოდ ლოცულობს - ღმერთო, ხვალ მზიანი დღე გაუთენე ამ ხალხს, წვიმა ნუ მოუსწრებსო.

* შესანიშნავია, როდესაც საზოგადოება ხანდახან ძველი ისტორიის ტრაგიკულ განცდას ირონიულით ცვლის.

* დაპირისპირებულ მხარეებს შორის სუფრიდან სუფრაზე სადღეგრძელოთი გადაცემული მოკითხვები კავკასიაში ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე SMS-ები და ტრენინგ-სემინარები.

* რა უბრალოდ წყვეტენ ადამიანთა ბედს ძლიერნი ამა ქვეყნისანი: "ჩვენ იქ მოვაწყობთ ტრამ-ტარა-რამს", - ამბობდნენ თურმე ძმები კენედები.

* ტელევიზორში ბევრად მეტი სიკვდილია, სიცოცხლე - ბევრად ნაკლები.

* არიან ადამიანები, რომლებიც მტანჯველად ეჭვობენ იმაზე, რომ ყოველ ადამიანში დამნაშავეა, რომ ცოლი ღალატობთ, რომ მეგობრები მტრები არიან და ა.შ. არიან ადამიანები, რომლებიც ეჭვობენ, რომ ყოველ ცუდ ადამიანშიც სიკეთეა და სძულთ დანაშაული და არა დამნაშავე. წესისამებრ, მეორენი ვერასოდეს მიდიან ქვეყნის სათავეში, იმიტომ, რომ პირველები ყველგან პირველები არიან.

* არსებობს ასეთი უბრალო წესი: წააგე ჭადრაკი? ადექი!

* ზეპოლიტიზებულ სივრცეში ადამიანი მარტოდმარტო რჩება.

* სოხუმში ერთ-ერთი სტუდენტური პროგრამით ნამყოფი ოცი წლის, წარმოშობით სოხუმელი ბიჭი მიყვება: როდესაც გაიგო, რომ სოხუმელი ვიყავი, ერთი შაოსანი ქალი ჩემთან მოვიდა, ხელი მომკიდა და მითხრა: ომამდე ერთი ვაჟიშვილი ავადმყოფობით გარდამეცვალა, ომში მეორე ვაჟიშვილი და ძმისშვილი დამეღუპა. სამთავენი ერთად არიან დასაფლავებულნი. მათი საფლავების გვერდით მათივე ტოლი ქართველი ბიჭის საფლავია. მის საფლავს არავინ აკითხავს, მისი ოჯახის წევრები ლტოლვილები არიან. მინდა შენ იცოდე, იმ საფლავს მე ვუვლი, მითხრა ეს ძაძებიანმა ქალმა, შებრუნდა და წავიდა.

* აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსმა ჯალილ მამედკულიზადემ დაწერა ერთი პატარა პიესა "ქიამანჩა" (ქიამანჩა - სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტია). პიესაში ნაჩვენებია მე-20 საუკუნის დასაწყისში არსებული აზერბაიჯანულ-სომხური კონფლიქტი. აზერბაიჯანელ მეომართა რაზმი (რაზმის თითოეულ წევრს კონფლიქტის დროს ოჯახის წევრები ჰყავს დაღუპული) მთაში დაატყვევებს მოხუც სომეხ მუსიკოსს, ქიამანჩაზე დაკვრის შესანიშნავ ოსტატს. მოხუცი ქორწილიდან მოდის, ქიამანჩაც თან აქვს. რაზმის წევრებს მოხუცის დახვრეტა უნდათ, მაგრამ ერთი იტყვის - სანამ დავხვრეტდეთ, ქიამანჩაზე დაუკრასო და მოხუციც დაუკრავს. ქიამანჩის მწუხარე ჰანგები ტყეს მოეფინება, ადამიანივით აქვითინდება ქიამანჩა.

რაზმის მეთაური, მკაცრი და უშიშარი კაცი თვალებზე ცრემლმომდგარი უსმენს, მეომრებიც უსიტყვოდ უსმენენ მუსიკას. მერე მეთაური ეუბნება მოხუცს - "მოხუცო, მიატოვე დაკვრა, თორემ შენ რომ უკრავ, ომამდელი ცხოვრება მახსენდება... ახლა აიღე შენი ქიამანჩა და წადი, თორემ შეიძლება თავი მოვიკლა".

მოხუცი მიდის.

მამედკულიზადეს "ქიამანჩამ" ჩეხოვის "როტშილდის ვიოლინო" გამახსენა.

ჩვენ, ყველას, მთელ კავკასიას, უზარმაზარი კულტურა გვაქვს, მაგრამ ჩვენ არ ვყავართ ჩვენს კულტურას.

გაგრძელება იქნება

დამოუკიდებლობა დამოუკიდებლობის გარეშე

ზაზა ფაჩუაშვილი

ბათუმის საერთაშორისო კონფერენციამ საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მისცა ხმამაღლა სამშვიდობო განცხადებების გაკეთების საშუალება. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნისაგან მოწყვეტილი ტერიტორიების ხელმძღვანელებს გაუგზავნა წინადადებების მორიგი რაუნდი წარუდგინა – შესთავაზა ფართო ავტონომია, აქედან გამომდინარე ყველა პრივილეგიით. თუმცა, სიტყვა "პრივილეგია" მოსალოდნელ ვითარებას ზუსტად ვერც ასახავს. ფაქტობრივად, ეს არის შიდა დამოუკიდებლობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაში ფორმალურად გაერთიანების სანაცვლოდ. ურჩების სრულ დამოუკიდებლობაზე საუბარი, როგორც სააკაშვილი აცხადებს, საქართველოსთვის მიუღებელი და დახურული თემაა.

ერთადერთი, რითიც ავტონომიურობა შეიზღუდება, საერთაშორისო პოლიტიკაში მონაწილეობაა, სადაც ცენტრის, ანუ თბილისის გარეშე რეგიონული ხელმძღვანელობა ვერ მოხვდება. თუმცა, ეს რა შეზღუდვა იქნება დღევანდელობის ფონზე, როცა აუღიარებელ, სეპარატისტულ მხარეს საერთაშორისო სამართლით ისედაც არავითარი უფლება არ გააჩნია.

დღეს აფხაზეთიც და ცხინვალის რეგიონიც საუბარ დამოუკიდებლობას აფიშირებენ და, როგორც ამბობენ, სხვა რამის გაგონება არც სურთ. ცხადია, იქ ისეთი გულუბრყვილო და რომანტიკოსი არავინაა, რომ ამ იდეის სრულ უტოპიურობას ვერ ხედავდეს. უბრალოდ, რუსეთი თამაშობს, საქართველოს ეთამაშება და ხელში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კოზირები უჭირავს. ეს თამაში კი მანამდე გაგრძელდება, სანამ საქართველო უფრო მაღალ კოზირს არ მოიპოვებს. დღეს ეს კოზირი გაფართოებული ავტონომიაა, რომელსაც ასე გულმოდგინედ სთავაზობს მიხეილ სააკაშვილი სეპარატისტულ მთავრობებს და რომელიც ნიშნავს სრულ თვითმმართველობას თავისუფალი ეკონომიკური ზონითა და ყველა სათანადო ატრიბუტიკით. ამის გარდა, საქართველო კისრულობს ყველა საპენსიო დავალიანების გასტუმრებას და იმაზე არანაკლებ საპენსიო უზრუნველყოფას, რასაც აფხაზეთისა და ოსეთის პენსიონერები რუსეთისგან იღებენ.

ამასთან, მოხდება აფხაზი და ოსი ახალგაზრდების სპეციალური გადამზადება იმისათვის, რომ მათ ცენტრალურ მთავრობაში მაღალი თანამდებობები დაიკავონ. თუ ეს მცდელობა რუსეთის კარტებს არ გაჭრის, მაშინ საქართველოს ხელისუფლებისაგან, როგორც სააკაშვილმა განაცხადა, სამშვიდობო ინიციატივების უფრო აგრესიულ ნაბიჯებს უნდა ველოდოთ, რაც შეიძლება აუცილებლად გამოიღებს (სხვადასხვა მსოფლიო ნებირები უნდა დაირღვეს). მანამდე კი, ვიდრე ცოტაოდენი დრო გვაქვს, გავეცნოთ როგორ ცხოვრობენ და რას აპირებენ იქ. ამის შესახებ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, ალექსანდრე ანქვაბის ინტერვიუ მოგვითხრობს.

ალექსანდრე ანქვაბის სინამდვილე

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლების განცხადებით, იქ მაინცდამაინც არავის ანაღვლებს ქართული მხარის პოზიცია და ეს აუღიარებელი რესპუბლიკა ისე ცხოვრობს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეეფერება – ეძებს ინვესტორებს, იწყებს პრივატიზაციას, ეკონომიკის განვითარებას, ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერებას და ა.შ. სოხუმის პრემიერ-მინისტრის ალექსანდრე ანქვაბის ინტერვიუდან კი ნათლად ჩანს, თუ ვინ უმაგრებს ზურგს სეპარატიზმს. ჩვენთვის ეს ისედაც ცნობილი იყო, მაგრამ, საკითხავია, რას უნდა ნიშნავდეს საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული უგულებელყოფის ასე აშკარა აღიარება? ინტერვიუ გამოქვეყნდა "regnum ru"-ს საიტზე. იბეჭდება შემოკლებით.

- ბატონო პრემიერ-მინისტრო, ახალი მთავრობის ფორმირებიდან ას დღეზე მეტი გავიდა. მიღწევებზე არ გეკითხებით, რისი გაკეთება დგას დღის წესრიგში?

- მთავრობამ ძალიან ცოტა გააკეთა. ჯერჯერობით, ისევ მეურნეობას ვეცნობით. ფაქტობრივად, ჯერ კიდევ არ ვიცით, ის რას წარმოადგენს. საუბარია ინვენტარიზაციაზე, რომელიც უნდა განხორციელდეს მრავალ სფეროში, საცხოვრებელ ფონდში. ჩვენ ვცდილობთ ნორმალური მმართველობითი სქემის შექმნას, რათა ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა დასაწყისისათვის სინქრონულად მაინც იმოქმედონ. დარწმუნებული ვარ, რომ საქმეს დავძრავთ. ამისათვის საჭიროა არასტანდარტული ნაბიჯები და ჩვენი მოქალაქეების შეგნება. ჩვენ დღეს რუსეთის ფონდებიდან გვეხმარებიან. ვიცოდი, რომ ბევრი პრობლემა იყო, მაგრამ ამდენი თუ იქნებოდა, არ მეგონა.

- როგორ მიმდინარეობს პრივატიზაციის პროცესი?

- დიდი პრივატიზაცია ჯერ არ ჩატარებულა. რაც შეეხება ცალკეულ დასასვენებელ ობიექტებს, თითოეული კონკრეტული შემთხვევისთვის გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს, ისევე, როგორც "სტალინის აგარაკთან" დაკავშირებით მოხდა ამა წლის აპრილში. ჩვენ გავაგრძელებთ მსხვილი ობიექტების განსახელმწიფოებრიობის პროცესს, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სახელმწიფო ობიექტები ხომ დღეს ვერ ფუნქციონირებენ, ჩვენ კი მათი ამუშავების შესაძლებლობა არ გვაქვს. იგივე შეიძლება ითქვას სხვა სახის ობიექტებზეც. ჩვენ უნდა დავუბრუნოთ მათ სიცოცხლე. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ დიდი ინვესტიციებით, პირდაპირი გაყიდვით.

- შეიძლება ითქვას, რომ დღეს აფხაზეთში ჩნდება დიდი ინვესტიციები?

- რა თქმა უნდა. დღეს უკვე განხორციელებულია მანდარინის დაფასოებისა და შეფუთვის პროექტი. გვერდით აშენდება კონცენტრატების საწარმო. ეს არის აფხაზეთის ახლადშექმნილი მეხილეობის კომპანია, რომელშიც 100 პროცენტი რუსული კაპიტალია. დამუშავების სტადიაშია სხვა დიდი პროექტებიც – მეფრინველეობის ფაბრიკა, მეღორეობის კომპლექსი. ჩვენ ვესაუბრეთ ფრიად შეძლებულ რუს ბიზნესმენებს მსხვილი საბითუმო ბაზების გახსნასთან დაკავშირებით. ასევე განიხილება სატრანსპორტო სფეროსა და კავშირგაბმულობის განვითარება. ეს რეალური პროექტებია და მალე განხორციელდება კიდეც.

- თქვენ ხშირად ჩადიხართ რუსეთის დედაქალაქში და ეკონომიკური და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებს ხვდებით. მოსალოდნელია თუ არა რუსული კაპიტალის მოდინების გააქტიურება აფხაზეთში და როგორია უსაფრთხოების გარანტიები?

- გარანტია არის. პირველ ყოვლისა, ეს არის ჩვენი სახელმწიფოს გარანტია. ჩვენთან საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში წარმატებით მოქმედებს რამდენიმე საწარმო, რომლებიც რუსეთიდან მსხვილი ინვესტიციების შედეგად ამუშავდა. შიშს დიდი თვალები აქვს, მაგრამ პანიკის საფუძველი არ არსებობს. კაპიტალის მოდინება უეჭველად იქნება და ჩვენ ამისთვის მაქსიმალურ პირობებს შევქმნით.

- მზად არიან თუ არა ტურისტული ობიექტები დამსვენებლების მისაღებად?

- დღეისათვის ტურისტების მისაღებად მზად არის 36 გამაჯანსაღებელი კომპლექსი. თუ ამინდმა არ გვიღალატა, ვიმედოვნებთ, რომ იმდენივე დამსვენებელი იქნება, რამდენიც 2003 წელს იყო. ყველა ექსკურსიამძღოლი ატესტირებულია. დიდ ყურადღებას ვუთმობთ უსაფრთხოების ზომებს. შსს-სთვის 40 მანქანა შევიძინეთ. ეს იქნება საპატრულო სამსახურის სერიოზული უზრუნველყოფა.

- როგორ კომენტარს გაუკეთებდით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას იმის თაობაზე, რომ უცხოელმა ტურისტებმა აფხაზეთში დასვენებისაგან თავი უნდა შეიკავონ?

- ეს ყოველ წელს მეორდება, მაგრამ არავის ანაღვლებს. რა არის აქ საშიში? ამიტომ, წელსაც ვიწვევთ დამსვენებლებს რუსეთიდან. ჩვენთან არის სუფთა ზღვა, კარგი ჰაერი, გემრიელი საჭმელი, ხელმისაწვდომი ფასები და სტუმართმოყვარე ხალხი. მსგავსი განცხადებები კი საქართველოსთან ურთიერთობებს ართულებს.

ზღვა და მირაჟები

საქართველოს მხატვართა კავშირში გაიმართა დევნილი მხატვრის, ზურაბ ჭედიას პერსონალური გამოფენა – "ზღვა და მირაჟები". გამოფენის გახსნას მრავალ მნახველთან ერთად ესწრებოდნენ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გიორგი ჯანბერიძე და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე სვეტლანა ქეცბა.

გამომსვლელებმა მხატვარს მადლობა გადაუხადეს იმ დიდი სიხარულისთვის, რაც მათ ნამუშევრებმა მიანიჭეს. ყველა აღნიშნავდა მხატვრის არაჩვეულებრივ პროდუქტიულობას, რომელმაც ეს გამოფენა ბოლო გამოფენიდან რამდენიმე თვეში მოაწყო და სულ ახალი ტილოები წარმოადგინა. ასეთი პროდუქტიულობა ჩვენს დროში გმიროზაო, აღნიშნა გიორგი ჯანბერიძემ; მაგრამ მთავარი მაინც ხარისხია და არა რაოდენობა. აქ კი, როგორც გამომსვლელებმა აღნიშნეს, მხატვრის ნიჭიერებამ გაიმარჯვა.

გამოფენაზე: გენო კალანდია, ზურაბ ჭედია, გიორგი ჯანბერიძე და სვეტლანა ქეცბა.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

"რაც სოხუმი დავტოვეთ, მას შემდეგ ჩვენი ცხოვრება მირაჟია და სხვა არაფერი. ეს არის ჩვენი სახლები. მე მგონი, ამგვარი სიხარული კარგახანს არ გვინახავს და წინ კიდევ ბევრი გველის," – ბრძანა გენო კალანდიამ, რომელმაც მხატვარს შემდგომი გამოფენა სოხუმში უსურვა.

მხატვრის თაყვანისმცემლების თქმით, გამოფენა აფხაზეთში დაბრუნებასთან ასოცირდება. ეს მომავლის ფერები აფხაზეთში დაბრუნების გზას მიუყვებიანო, - თქვეს მათ.

24 საათი

დევნილთა ხმა ცას სწვდება

დევნილთა საერთაშორისო დღე მრგვალ მაგიდასთან გამართული დისკუსიით საქართველოშიც აღნიშნეს. შეხვედრის მოწყობის ინიციატორი იყო კავკასიის მიგრანტთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი "CRINGO", რომელმაც შეხვედრაზე მიიწვია დევნილთა პრობლემებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ლელა მარგიანი

თანამედროვე მსოფლიოში დევნილია, დაახლოებით, 22 მილიონი ადამიანი, რომელთაგან 80 პროცენტს ქალები და ბავშვები შეადგენენ. დევნილობაში ცხოვრება განსაკუთრებით ძნელია ახალგაზრდობისათვის. იმ ასაკში, როდესაც ისინი მომავალზე უნდა ფიქრობდნენ, მათ სიღარიბესა და გაჭირვებაში უხდებათ ცხოვრება და, ძირითადად, ყოფითი პრობლემებით არიან დაკავებულნი.

მწვავე დისკუსია გაიმართა საქართველოში დევნილთა მდგომარეობის შესახებ.

"დევნილობის დროს საფრთხე ბიჭებსა და გოგონებს ერთნაირად ემუქრებათ. ძალიან ხშირად, დევნილი გოგონები ძალადობის პირდაპირი მსხვერპლნი ხდებიან, განსაკუთრებით, საომარი მოქმედებების დროს. მიუხედავად ყველაფრისა, ამ ახალგაზრდებს უდიდესი ლტოლვა აქვთ განათლებისა და განვითარებისაკენ, მათ გათავისებული აქვთ, რომ განათლება სიტუაციიდან თავდაღწევის უდიდესი გარანტიაა," - აღნიშნა დევნილ ქალთა ასოციაცია "თანხმობის" წარმომადგენელმა, ქალბატონმა ლიანა ბერიამ.

"ღია საზოგადოება – საქართველოს" ოფისში მოწყობილ შეხვედრაზე ითქვა არა მხოლოდ მრავალი საყურადღებო მოსაზრება საქართველოში დევნილების მდგომარეობასთან დაკავშირებით, არამედ გამოითქვა საყვედურებიც საქართველოს მთავრობის მიმართ, რომელმაც ბიუჯეტის მნიშვნელოვნად – ორ მილიარდამდე გაზრდის მიუხედავად, დევნილებს შემწეობები არ გაუზარდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია "აფხაზეთის ქალთა საბჭოს" ხელმძღვანელი ქალბატონი როზა კუხალაშვილი: **"დღეს არიან ერთეული "წარმატებული" დევნილები, მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა უკიდურეს ზღვარზეა მისული. მიუხედავად ბიუჯეტის მატებისა, დევნილების შემწეობის გასაზრდელად, ჯერჯერობით, ვერავინ მოიცალა, იგი ერთი ლარითაც კი არ გაზრდილა. ეს, ალბათ, ჩვენი, ლტოლვილთა სამინისტროსა და აფხაზეთის სტრუქტურების მინუსია, რომ მათ ამ საკითხს ლობირება არ გაუწიეს. არ შეიძლება ქვეყანაში, სადაც მინისტრი ხელფასს 3 ათას ლარს იღებს, პენსიონერს მხოლოდ 28 ლარი ჰქონდეს, ხოლო დევნილს – 11 ლარი."**

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ძალიან აწუხებთ დევნილებს, არის მათი მიზერული შემწეობები, რომელთა აღებასაც დევნილები დილის 5-6 საათიდან რიგში, გაუსაძლის პირობებში დგომით "ახერხებენ".

სახელმწიფოს მიმართ დევნილების პრეტენზიების მოსმენა და მათზე პასუხების გაცემა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ლელა მეტრეველს მოუხდა. მან შეხვედრის დასასრულს აღნიშნა: **"დევნილების შემწეობებთან დაკავშირებული პრობლემები მაშინ დაიწყო, როდესაც სტატისტიკის დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ საქართველში 160 ათასი დევნილია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არარეალური ციფრია. იქვე იანგარიშეს, რომ თუ დევნილთა რაოდენობა ამ ციფრამდე დაიწევს, მაშინ გამოთავისუფლებული თანხების ხარჯზე, შემწეობა 20 ლარამდე გაიზრდებოდა. იყო ასეთი დაპირება, მაგრამ იგი არ შესრულდა, რადგან, რეალურად, საქართველოში დღევანდელი მონაცემებით აღრიცხულია 246 ათასი დევნილი. სავარაუდოდ, 2005 წელს გამოცხადდება გეგმიური რეგისტრაცია. და ყველა დევნილს მოუწევს სამინისტროში მოსვლა მოწმობის ასაღებად. ამავე დროს, წელს დევნილთა ჯანმრთელობის დაცვა გაუთანაბრდა ადგილობრივ მოსახლეობას, ანუ ყველა რაიონის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის განყოფილებები დევნილებს მოემსახურებიან. ხოლო ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პროგრამების დაფინანსება დამოკიდებულია რაიონის დაფინანსებაზე. ზოგს ექნება თანხა, ზოგს - არა."**

გამოკითხვა

რას ფიქრობთ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სტრუქტურებში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ?

გია ჭილაძე, სამართლის დოქტორანტი, დოცენტი: "ამ მოდელით, რასაც მთავრობა გეგმავს, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში შეიქმნება ფედერალური სტრუქტურა, რომელშიც აფხაზეთის მთავრობა, ძირითადად, ჯანდაცვის, კულტურისა და განათლების საკითხით იქნება დაკავებული. კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკას და სამშვიდობო პროცესს სპეციალური სამინისტრო განსაზღვრავს. ხდება უფლებების დელეგირება. აფხაზეთის სტრუქტურებს რეალურად არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ პროცესები მართონ, რადგანაც თავის ტერიტორიაზე არ არიან. აფხაზეთის დევნილი მთავრობა, რასაკვირველია, ლეგიტიმურია, მაგრამ ეს პროცესი ძალიან გახანგრძლივდა, გაიზარდა ახალი თაობა. მე მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე ცენტრალიზაცია მხოლოდ წაადგება საქმეს და მოხდება ცენტრისათვის იმ უფლებების გადაცემა, რასაც ლეგიტიმური მთავრობა რეალურად ვერ ახორციელებს - პოლიტიკური, საფინანსო, საერთაშორისო. ეს ხომ არ არის სამუდამო აქტი, ეს სტრუქტურა იურისდიქციის აღდგენის შემდეგ შეიცვლება და აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა თავის ფუნქციებს ისევ დაუბრუნდება."

ირაკლი ეზუგბაია, ეკონომისტი, 34 წლის: "აფხაზეთის დევნილ მოსახლეობას ჯერ კომპენსაციას დაჰპირდნენ დევნილობის სტატუსის სანაცვლოდ, შემდეგ მათი კომპაქტური ჩასახლების ადგილები მოშალეს და სასტუმროებიდან გამოასახლეს; ვინც დასაბრუნებელი იყო, რეალურად, დაბრუნდა გალში. ახლა მთავრობას აუქმებენ. ეს არის ამ ხელისუფლების მიზანი, რომ პრობლემას სიმწვავე მოაცილოს და, საჭიროების შემთხვევაში, კომპრომისებზე ადვილად წავიდეს."

მარინა მაღრაძე, ისტორიკოსი, 42 წლის: "სტრუქტურა, რომელსაც გვთავაზობენ, შეიძლება, იმას სჯობს, რაც ახლა არის - ლეგიტიმური მთავრობა შეიცვალა, ახალი ხალხი მოვიდა, რომლებიც, ფაქტობრივად, ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაინიშნნენ. შეიძლება, ეს ადამიანები ძალიან ჭკვიანები და კარგები არიან, მაგრამ ეს ხომ აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის ინტერესების გამტარებელი მთავრობა აღარ არის. დევნილი მოსახლეობა თავის პარლამენტს რომ ირჩევდეს, ის კი აფხაზეთის მთავრობას ამტკიცებდეს, მაშინ იქნებოდა ამ ხალხის ინტერესების გამომხატველი. ახლა კი, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ეს ლეგიტიმური მთავრობა ცალკე იქნება თუ ფედერალურ სტრუქტურაში გაერთიანდება."

ქეთინო ნაჭყებია, პედაგოგი, 40 წლის: "ჩემი აზრით, დაგეგმილი რეფორმა იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობას ხელები ჩამოეჭრება. მართალია, ის სრულად ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს, მაგრამ როცა პოლიტიკურ საფუძველს აცლი, ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას აღიარებ და მასთან მოლაპარაკებაზე მიდიხარ, როგორც თანასწორი - თანასწორთან. მე ვფიქრობ, რომ ჯობს, როგორც არის ლეგიტიმური მთავრობა, ისე დარჩეს, ხოლო ხელისუფლებამ უფრო მეტად შეუწყოს ხელი, რომ მან თავისი ფუნქცია უკეთესად შეასრულოს."

დათო ბერიანიძე, ინფორმატიკის სპეციალისტი, 26 წლის: "მე ვფიქრობ, რომ ასეთი მნიშვნელობის პოლიტიკური საკითხები ცენტრალური ხელისუფლების გადასაწყვეტია და ლეგიტიმური მთავრობა არსებულ სიტუაციაში სრულიად უსუსურია."

ნინო ჩაჩუა, მცირე მეწარმე, აფხაზეთიდან დევნილი, 54 წლის: "ნეტავ კი რაიმე სიკეთე იყოს აფხაზეთთან დაკავშირებით და ნებისმიერ ცვლილებას მივესალმები. მაგრამ, ჯერჯერობით რომ არაფერი ჩანს?"

გადარჩენილი ფოტოები

მენატრები!



სოხუმი, 1986 წელი, უნივერსიტეტის წინ: ნოდარ ჩიჩუა (მარცხნიდან), ოთარ ხაბა, ალიკო გვარამია.

პროექტი "თქვენი აფხაზეთი"

ჩვენი ნახვა შეგიძლიათ: გაზეთ **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს

საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

ფეხბურთი

ყველაფერი თბილისში გადაწყდება

"ლევადია" - "დინამო" 1:0

"დინამოს" შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია.

მიხეილ აბაიშვილი
ტალინიდან

"დინამო": სტურუა, ალადაშვილი, ორბელაძე, გიგაური, კანდელაკი, ოდიკაძე, ნოზაძე, ბაბუნაშვილი, ნავალოვსკი, მეგრელაძე, მელქაძე.

"ლევადია": კოტენკო, კალიმულინი, ჩეპაუსკასი, შიშოვი, ხოხლოვ-სინსონი, ნაკი, ვასილიელი, დოვდენასი, დმიტრიევი, ტენისტე, ლეიტანი

გოლი: ნაკი (42`)

ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში ტალინის "ლევადიას" წინააღმდეგ საქართველოს ჩემპიონი თბილისის "დინამო" მინდორზე სრული საბრძოლო შემადგენლობით გავიდა. ცხადაძის განკარგულებაში მხოლოდ ახალწვეული ნერგაძე არ იყო. ქუთაისის "ტორპედოს" ყოფილ საყრდენ ნახევარმცველზე კახა ცხადაძე გარკვეულ იმედებს ამყარებდა, მაგრამ ტალინში გამგზავრებამდე ორი დღით ადრე მიღებულმა ტრავმამ ნერგაძის თამაში შეუძლებელი გახადა. მატჩის წინ "დინამოს" მთავარი მწვრთნელი აცხადებდა, რომ გუნდი კარგ ფორმაშია და მინდორზე მხოლოდ მოსაგებად გავალთო.

"ლევადიას" მომცრო სტადიონი "კადრიორგი" სულ 4700 მაყურებელს იტევს. ამის მიუხედავად ტრიბუნები ნახევრამდეც არ შევსებულა. თამაშზე საკუთარი დესპანი ტალინის ქართულმა სათვისტომომაც მოავლინა. ხუთჯვრიანი დროშებით შეიარაღებული 50-მდე ჩვენი თანამემამულე მატჩის პირველი წუთებიდანვე აქტიურად უჭერდა მხარს თავის გუნდს.

ტაქტიკური მრავალფეროვნება ვერ ვიხილეთ. ორივე გუნდმა 4-4-2 განლაგება აირჩია. პირველი 20 წუთი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. უკეთესი ტექნიკური მახასიათებლების ხარჯზე მცირე უპირატესობა ქართველების მხარეს იხრებოდა, თუმცა ეს სახიფათო მომენტებზე არ ასახულა. მასპინძელთა კარში პირველი სახიფათო დარტყმა 28-ე წუთზე განხორციელდა. ნოზაძემ დაახლოებით 30 მეტრიდან უძლიერესად დაარტყა, მაგრამ კოტენკომ მოიგერია ბურთი.

თამაში პროგნოზირებადი სცენარით მიმდინარეობდა. იყო ბევრი ძალისმიერი ორთაბრძოლა. მასპინძლები, რომლებიც განსაკუთრებით ხისტად თამაშობდნენ, ხშირად წესებსაც არღვევდნენ. თუმცა ჩრდილოეთ ირლანდიელი მსაჯი ამაზე თვალებს ხუჭავდა.

42-ე წუთზე "დინამოს" კარში მსაჯმა ალოგიკური პენალტი დანიშნა. კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ ორბელაძე საჯარიმო მოედანში მეტოქეს შეეჯახა. მსაჯს ეს მომენტი არ გამოჰპარვია და თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა. ნაკმა დარტყმა ზუსტად შეასრულა და ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმის პირველ 20 წუთში დასამახსოვრებელი მხოლოდ ოდიკაძის საჯარიმო დარტყმა იყო. "ლევადიას" მეკარემ ამჯერადაც კარგად ითამაშა. ესტონელები შეტევაზე მაინცდამაინც აღარ გადადიოდნენ. უფრო მეტიც ხშირად იყო ეპიზოდები, როცა ესტონეთის ჩემპიონის 11-ვე ფეხბურთელი საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან იყო კონცენტრირებული. 28-ე წუთზე ამ მასირებული დაცვის გარღვევა და ლევან მელქაძის დასარტყმელ პოზიციაზე გაყვანა მაინც მოხერხდა, მაგრამ მელქაძის თავური კოტენკომ მოიგერია. დრო გადიოდა, "დინამოელებმა" შედეგიანი შეტევა ვერ განახორციელეს. "ლევადიამ" ერთბურთიანი უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. თუმცა ესტონელებმა ნამდვილად არ დატოვეს იმ გუნდის შთაბეჭდილება, რომლის დიდი ანგარიშით დამარცხებასაც "დინამო" ვერ შეძლებს.

კახა ცხადაძე, "დინამოს" მთავარი მწვრთნელი: "პირველ ტაიმში ტერიტორიული უპირატესობა "ლევადიას" ჰქონდა. ჩვენებს პირველი ტაიმი არ გამოუვიდათ. მეორეში თამაში გამოვასწორეთ და უპირატესობა მოვიპოვეთ. ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე შანსი გვქონდა. წასაგები თამაში არ იყო. ვფიქრობ, ასეთი დონის მატჩებს უფრო კვალიფიციური მსაჯობა უნდა ჰქონდეს. წინ განმეორებითი თამაში გვაქვს და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მომდევნო ეტაპზე გავიდეთ".

ტარმო რიუტლი, "ლევადიას" მთავარი მწვრთნელი: "მრისხანე მეტოქე დავამარცხეთ. მთავარია, საკუთარ მინდორზე გოლი არ გავუშვით. კმაყოფილი ვარ შედეგით და ჩემი გუნდის თამაშით. თუმცა წინ მეორე შეხვედრა გველის და ყველაფერი იქ გადაწყდება".

მოკლედ

ლაპორტა გაშიშვლების გამო ბოდიშს იხდის

“ბარსელონას” პეზიდენტმა ხუან ლაპორტამ კატალონიის დედაქალაქის აეროპორტში გაშიშვლების გამო მოიბოდიშა. საქმე ისაა, რომ დეტექტორის არკაში გავლისას საეჭვო ნივთების დამაფიქსირებელმა ხელსაწყომ რამდენიმეჯერ განგაში ატეხა. არაერთხელ ამოქმედებული დეტექტორის გამო ლაპორტას ნერვებმა უმტყუნა და რომ აღარ იცოდა რითი ჩაეხშო აპარატის განგაში, გაბრაზებულმა ჯერ ფეხსაცმელები გაიძრო და ჰაერში აყარა, შემდეგ შარვლისა და დანარჩენი ტანისამოსისგანაც განთავისუფლდა. “მარკასთვის” მიცემულ ინტერვიუში კი ესპანეთის ჩემპიონი კლუბის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სულაც არ იყო გაბრაზებული, უბრალოდ ვითარების განმუხტვა მინდოდაო.

“ბოდიშს ვიხდი თუკი “ბარსელონას” რომელიმე გულშემატკივარმა ჩემი საქციელის გამო თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. უბრალოდ ვითარების გამოკეთებას შევეცადე, რადგან განგაში არა და არ წყდებოდა. ისიც მინდა გითხრათ, რომ თავში ყველაფერი წესრიგში მაქვს და რომ სულაც არ გავბრაზებულვარ. გულწრფელად ვწუხვარ, რომ მომხდარმა ასეთი აჟიოტაჟი გამოიწვია”.

ჯეიმს ტონის პრობლემა

ცნობილმა მწვრთნელმა ფრედი როუჩმა ქვეშევრდომ ჯეიმს ტონისთან დაკავშირებით გეგმები გამოამზეურა.

“ჯეიმს არ შეუძლია WBA-ს (კრივის მსოფლიო ასოციაცია) უმთავრესი სარტყელისთვის ბრძოლა, მაგრამ სხვა დანარჩენი ტიტულების დაუფლება მისთვის პრობლემა არ იქნება. დიდი იმედი მქონდა, რომ ვიტალი კლიჩკოსთან მოლაპარაკებები წარმატებული იქნებოდა, მაგრამ ახლა კრის ბერდთან ჩხუბი უფრო იძენს პერსპექტივას. პირადად მე ძალზე არ მინდა, რომ ტონი ბერდს შეხვდეს – ამ შემთხვევაში მოსაწყენი ორთაბრძოლის მოწმენი გავხდებით. ჯეიმს ტონისა და ვიტალი კლიჩკოს ჩხუბი უფრო საინტერესო იქნებოდა. სამწუხაროდ, ამასთან დაკავშირებით ისიც არ ვიცი, რას ფიქრობს თავად ტონი, რადგან ჯონ რუისთან ორთაბრძოლის შემდეგ მას აღარ შევხვედრივარ”.

გარდა ამისა როუჩმა ისიც დასძინა, რომ ტონის სავარჯიშო დარბაზის კარი საკმაო ხანია, რაც არ შეუღია.

ფიგუს "ლივერპული" გამოერიცხა, ჯერი "ინტერზეა"

ლივერპულელთა მთავარი მწვრთნელის რაფაელ ბენიტესის მიერ “მარკასთვის” მიცემული ინტერვიუდან ვიგებთ, რომ მადრიდის “რეალის” ნახევარმცველ ლუიშ ფიგუს “ლივერპულში” არ ელოდებიან. ბენიტესის თქმით, “ლივერპულმა”, ფიგუმ და “რეალმა” ფინანსური საკითხები ვერ შეათანხმეს. ამასობაში, “რეალთან” მოლაპარაკებებში ჩაერთო მილანის “ინტერი”, რომელიც მზადაა, პორტუგალიელ ლეგიონერში 3 მილიონი ევრო გადაიხადოს. ამბობენ, რომ ფიგუს იტალიაში გადაბარგებაზე გავლენა მოახდინა “ინტერის” მფლობელმა მასიმო მორატიმ, რომლის აზრითაც პორტუგალიელი იტალიური კლუბის ლიდერი უნდა გახდეს. ანუ კრისტიან ვიერი უნდა შეცვალოსო, რომელიც ცოტა ხნის წინათ მილანის “მილანში” გადაბარგდა.

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **სენაკის რაიონის სოფელ გეჯეთში საშ. სკოლის ფასადის რემონტი და სპორტული დარბაზის მშენებლობა.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

გეჯეთის საკრებულოს განვითარების სათემო კავშირთან "გეჯეთის ეკონომ. განვ. კავშირი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სათემო კავშირი "გეჯეთის ეკონომ. განვ. კავშირი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, სენაკის რაიონი,
სოფელ გეჯეთის, საშ. სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი ფრიდონ ჯღამაძე, სათემო კავშირი "გეჯეთის ეკონომ. განვით. კავშირი"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 13 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 100** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, სენაკის რაიონი,
სოფელ გეჯეთის საშ. სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი ფრიდონ ჯღამაძე, სათემო კავშირი "გეჯეთის ეკონომ. განვით. კავშირი"-ს თავმჯდომარე
2005 წლის 11 აგვისტო 12:00 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **მესტიის რაიონის სოფელ მაზერში არასრული საშ. სკოლის მშენებლობა.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

ბეჩოს საკრებულოს განვითარების სათემო კავშირთან "მაზერი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სათემო კავშირი "მაზერი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, მესტიის რაიონი,
სოფელ ბეჩოს, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი გოჩა ხორგუანი, სათემო კავშირი "მაზერი"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 13 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 900** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, მესტიის რაიონი
სოფელი ბეჩოს გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი გოჩა ხორგუანი, სათემო კავშირი "მაზერი"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 12 აგვისტო 14:00 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

პაბლო გარსია: "რეალისთვის" ვიბრძოლებ

მას არც ისე მოსწონს მიკროფონების წინაშე საუბარი. ურჩევნია, სათქმელი მინდორზე თქვას. ახლა პაბლო გარსიას შეუძლია თავი "რეალის" სრულუფლებიან წევრად მიიჩნიოს და იცის, რომ უმაღლესი მიზნებისთვის მოუწევს ბრძოლა, რომელიც კარდინალურად განსხვავდება იმისგან, რასაც მისი ყოფილი გუნდი, "ოსასუნა" ისახავდა მიზნად.

პაბლო გარსია ბექჰემის თანაგუნდელი გახდა.

- მორჩა, პაბლო გარსია მადრიდის "რეალის" ფეხბურთელია...

- "რეალის" ფეხბურთელობა ოცნებაა, რომელიც რეალურად ამიხდა. დაე, ყველამ იცოდეს, რომ მის მაისურს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავ.

- შენ უკვე გადალახე პირველი დღეების ემოციური მუხტი?

- დიახ. ახლა ცოტა უფრო დავმშვიდდი. ურთულესი კვირის შემდეგ შემიძლია ვთქვა, რომ "რეალის" ფეხბურთელი ვარ და ამით უაღრესად კმაყოფილი გახლავართ.

- რას მოელი შენი კარიერის ამ ახალი ეტაპისგან?

- მე არაფერს ველოდები. უბრალოდ, მსურს, ვითამაშო, მინდორზე ბოლომდე დავიხარჯო და მოვიგო. ლაპარაკი იოლია, მაგრამ "რეალმა" ჯილდოები უნდა მოიგოს და ვიმედოვნებ, გუნდთან ერთად ამას მივაღწევ. მე ჯილდოების მოგება მინდა - მეტი არაფერი.

- შენ ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ, რომელსაც მშვიდად შეუძლია, როგორც კრიტიკის, ისე ქების მოსმენა. ეს თვისება შეიძლება დაგეხმაროთ ისეთ კლუბში არსებობაში, როგორიც მადრიდის "რეალია"...

- მე ყოველ აზრს პატივს ვცემ, რადგან ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი აზრი გამოთქვას. მე მინდრზე გამოვდივარ, ვცდილობ მოვიგო, ბოლომდე დავიხარჯო, შემდეგ კი ადამიანებს უფლება აქვთ, ჩემს თამაშზე იმსჯელონ.

- როგორ დაახასიათებ ცნობილ ურუგვაულ სპორტულ აგრესიულობას?

- ურუგვაი მუდამ ამით ხასიათდებოდა: სპორტული აგრესიულობით, სიძლიერით, შეუპოვრობით, მაგრამ ჩვენ, ამასთან, ფეხბურთის თამაშიც ვიცით. ჩვენში მხოლოდ აგრესიულობა როდია. ეს აგრესია სწორად მიმართული უნდა იყოს: ეს კი ნიშნავს, რომ ბრძოლაში მამაცურად უნდა ჩაერთო, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ მეტოქეს ტრავმა მიაყენო. ეს ნიშნავს იყო ადამიანი და როცა ბურთზე აგვიანებ მეტოქეს ფეხებში არ ურტყა. აგრესიულობა - ამ სიტყვის კარგი გაგებით.

- შენ იცი, რომ მოდიხარ კლუბში, რომელიც მუდამ მაქსიმუმს ითხოვს?

- რა თქმა უნდა. ეს მადრიდის "რეალია" და მან მუდმივად უნდა იბრძოლოს, მოიგოს ყველაფერი, მაშინ, როცა "ოსასუნა" სულ სხვა მიზნებს ისახავდა. მე იქ სამი შესანიშნავი წელი გავატარე, მაგრამ ახლა დადგა ცვლილებების დრო, როცა მიზნები სერიოზული იქნება. მაგრამ ეს საინტერესო მიზნებია, რომელთა რეალიზაციისთვისაც მსურს ბრძოლა.

„ცენტრ პოინტი" ყველგან და ყველასთვის

მშენებლობის ერთ-ერთი ლიდერი ცენტრ პოინტი

დაბალი ფასი, უმაღლესი ხარისხი, ზეთანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიები

„ცენტრ პოინტი"

საუკეთესო არჩევანი!

ცენტრ პოინტი ასე შენდება

სათაო ოფისი: თბილისი, ჭავჭავაძის 66, ტელ. 253216, 253217
www.centerpoint.ge cp@centerpoint.ge 232260

ქველმოქმედება გრძელდება

ამჯერად, ჟურნალისტების სიმღერა აუცილებელი აღარაა

გუშინ მერიაში გამართულ პრეს-კონფერენციას ერთადერთი მიზეზი ჰქონდა - ვახო გოძიაშვილს (საკრებულოს წევრი) უნდა ეცნობებინა, რომ საქველმოქმედო აქცია წყალდიდობისგან დაზარალებული რეგიონების მცხოვრებთათვის გრძელდება. ქველმოქმედების კვირანახევრით გაგრძელების მიზეზი კი ის "ტექნიკური მიზეზებია" (ფორმულირება შეხვედრის ორგანიზატორებს ეკუთვნით), რის გამოც შეპირებული თანხა რამდენიმე უწყებიდან არ დამჯდარა ანგარიშზე (N000467048).

საქველმოქმედო ნომერი ფილარმონიის სცენაზე.

სტიქიის შედეგად დაზარალებული მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მცხოვრებთა დასახმარებლად ჟურნალისტებისა და მომღერლების მონაწილეობით 30 ივნისს გამართულ ტელემარათონზე გაღებული თანხის ნაწილი ფონდის ანგარიშზე ჯერ არ ჩარიცხულა. გუშინ საკრებულოს ახალგაზრდა წევრმა დაასახელა ის რამდენიმე ორგანიზაცია, რომელთაც ქველმოქმედების სურვილი გამოთქვეს და საიდანაც შეპირებული შენატანი ფონდს ჯერჯერობით არ შემატებია. ეს ორგანიზაციებია: "ევროცემენტი", შპს "განთიადი-კასპი", საპატრულო პოლიცია და კერძო პირი, სპორტსაზოგადოება "დინამოს" თავმჯდომარე გოჩა ზასოხოვი, რომელმაც ტელემარათონის მსვლელობისას 5000 ლარის გადარიცხვის შესახებ განაცხადა. დაპირებული თანხის ოდენობა საერთო ჯამში 10 ათას ლარს აღემატება. ამ დროისათვის კი, დაახლოებით რვა ათასი ლარია შეგროვებული. ამას გარდა, კვლავ ძალაშია ცხელი ხაზის ნომერი ("ჯეოსელის" აბონენტებისთვის) - 70 88. პრესკონფერენციაზე ორგანიზატორებმა იმედი გამოთქვეს, რომ საზოგადოება მეტ აქტიურობას გამოიჩენს დაზარალებულთა დასახმარებლად.

24 საათი

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
ჯგუფი
Group

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

„საქართველოს ბანკის" ჯგუფის აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოს და მმართველთა საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ სს „საქართველოს ბანკისა" და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ერთობლივად „ჯგუფი") თანდართული საბალანსო უწყისის აუდიტი 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის, სააქციო კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების უწყისების აუდიტი ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის. აღნიშნულ ფინანსურ უწყისებზე პასუხისმგებელია "ჯგუფის" მენეჯმენტი. ჩვენი ვალდებულება, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად ჩვენ დავგეგმეთ და ჩავატარეთ აუდიტი იმ მიზნით, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მატერიალურ შეცდომებს. აუდიტი მოიცავს ტესტირების საფუძველზე ფინანსურ უწყისებში თანხების მოცულობისა და ინფორმაციის სისწორის შემოწმებას. აუდიტი აგრეთვე მოიცავს გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მენეჯმენტის მიერ გაკეთებული მნიშვნელოვანი პროგნოზების, ისევე როგორც, მთლიანად ფინანსური უწყისების წარდგენის შეფასებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს მოსაზრების გამოსათქმელად.

ჩვენი აზრით, ზემოთ ხსენებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული საანგარიშო წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ მე-[illegible] შენიშვნაზე. ჯგუფს გააჩნია ერთ წლამდე ვადით უარყოფითი კუმულატიური ლიკვიდობა. მენეჯმენტმა შეიმუშავა და ახორციელებს გეგმას, რომელიც გაითვალისწინებს ჯგუფის ლიკვიდობას. აღნიშნული გეგმა დამტკიცებულია მმართველთა საბჭოს მიერ და მისი განხორციელება აუცილებელი პირობაა ჯგუფის მიერ ვალდებულებების შესასრულებლად მათი გადახდის ვადის დადგომისას.

ინფორმაცია 1% და მეტი აქციონერების შესახებ

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ვიქტორ გელოვანი

სს „თი-ბი-სი" ბანკი

გერმანიის საინვესტიციო კომპანია (DEG)

„ფაირბირდ ავრორა ფანდი" (Firebird Avrora Fund)

„ფაირბირდ რესპუბლიკს ფანდი" (Firebird Republics Fund)

„ფაირბირდ გლობალ მასტერ ფანდი" (Firebird Global Master Fund)

შპს „ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"

გველია სულხან

გველია ტარიელ

მოდებაძე დავით

ჩხაკვაძე მანონი

თევზაძე ნიკოლოზ

ხაზარაძე ვიტალი

გვარაძე ლონარა

ტაბატაძე გიზო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (ათას ლარებში)

	31 დეკემბერი	
	2004	2003
აქტივები		
ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები	102,747	43,626
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი	25,585	16,117
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში		
- ვაჭრობისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები	59	445
- დაფარვის ვადამდე შენარჩუნებადი ფასიანი ქაღალდები	19,569	1,683
კლიენტებზე გაცემული სესხები	169,868	141,780
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებსა და არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში	588	604
ძირითადი საშუალებები	27,159	20,024
არამატერიალური აქტივები	6,286	2,025
საგადასახადო აქტივები	3,407	-
წინასწარი გადახდები	1,077	-
სხვა აქტივები	6,827	3,818
სულ აქტივები	363,172	230,122
ვალდებულებები		
ვალდებულებები სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ	-	4,765
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	48,334	47,637
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	252,129	121,408
საგადასახადო ვალდებულებები	203	771
რეზერვები	970	472
სხვა ვალდებულებები	6,076	428
სულ ვალდებულებები	307,712	175,481
უმცირესობის წილი	1,481	-
სააქციო კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	11,273	9,856
საემისიო კაპიტალი	13,376	4,530
რეზერვები	5,492	15,325
გამოსყიდული საკუთარი აქციები	(73)	-
გაუნაწილებელი მოგება	23,911	24,930
სულ სააქციო კაპიტალი	53,979	54,641
სულ ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი	363,172	230,122
ფინანსური და პირობითი ვალდებულებები	45,299	46,130

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება (ათას ლარებში)

	31 დეკემბრით დასრულებული	
	2004	2003
საპროცენტო შემოსავალი		
სესხები	32,104	30,004
ფასიანი ქაღალდები	1,654	2,295
	33,758	32,299
საპროცენტო ხარჯი		
დეპოზიტები	6,819	5,347
ნასესხები სახსრები	3,100	2,533
	9,919	7,880
წმინდა საპროცენტო შემოსავლები გაუფასურების რეზერვის გათვალისწინებამდე	23,839	24,419
შემოსავლიანი აქტივების გაუფასურება	20,511	4,105
წმინდა საპროცენტო შემოსავლები გაუფასურების რეზერვის გათვალისწინებით	3,328	20,314
საკომისიო შემოსავლები	13,212	11,793
საკომისიო ხარჯები	2,534	3,022
წმინდა საკომისიო შემოსავალი	10,678	8,771
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან:		
- სავაჭრო ოპერაციებიდან	5,058	4,351
- საკურსო სხვაობებიდან	(210)	(483)
არასაპროცენტო შემოსავალი	4,848	3,868
თანამშრომლების ხელფასები და სხვა სარგებელი	13,258	9,060
ცვეთა და ამორტიზაცია	2,609	2,231
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	8,327	8,584
სხვა გაუფასურება და რეზერვი	1,559	1,493
სხვა საოპერაციო ხარჯები	1,231	-
არასაპროცენტო ხარჯი	26,984	21,368
მოგება დაბეგვრამდე	(8,130)	11,585
მოგების გადასახადის (სარგებელი) ხარჯი	(781)	2,431
წმინდა მოგება (ზარალი)	(7,349)	9,154
(ზარალი) მოგება ერთ აქციაზე	(0.778)	0.929

სამსონ ლეჟავას სვეტი

კიბეები - ძველი თბილისის სამყაროს ორგანული ნაწილი

გახსოვთ ალბათ კარგად ცნობილი ფილმის, "მაგდანას ლურჯას" კადრები. გადაქანცული მემაწვნე ქალბატონი დინჯად, ღირსებით მიუყვება ხვეული კიბის საფეხურებს, რომელსაც ულამაზესი ჭვირული ცხაური ამშვენებს. რამხელა სილამაზეა ჩაქსოვილი მისი დეკორის მონახაზში! უბრალოება და საზეიმო ხასიათი აქ სრულებით ურთიერთორგანულია.

დაზუსტებით ვერავინ გეტყვით, რამდენნაირი ხასიათის, კონფიგურაციისა თუ შემკულობის მქონე კიბე ჯერაც არსებობს ძველთბილისურ ეზოებში. ისინი ხან სპირალისებრია, თითქოსდა აჩქარებით, დინამიკურად "მიმსწრაფველი", ხანაც უფრო "სწორმიმართულებიანია", ოღონდაც ამოუწურავად ნაირგვარ "მარშრუტებს" გვთავაზობს ეზოთა გარემოში – ზოგჯერ ხომ მართლაც სრულებით მოულოდნელს, ძნელადწარმოსადგენს, ფანტასმაგორიულსაც კი!

კიბეების სისტემა აივნებს ებმის თავისი პლასტიკით, მორთულობით, არაერთგან გახსნილობის ტენდენციით. ზოგან თითქოსდა ქუჩაში თავისუფლად, დაუფარავად "იმზირება", ანდა პირიქით – შეყუჟულია ეზოს მოკრძალებულ არეში – უჩუმრად, მიჩქმალულად. ისინი გეზთა, მიმართულებათა საკვირველი ამოუწურავობითაც გვიზიდავს.

კიდევ ერთი ფილმი გამახსენდა – "დღე პირველი - დღე უკანასკნელი"- მასშიც ხომ სწორედ კიბეებია ქცეული ფილმის მთელი ხატოვანების არსებით შემადგენლად...

წეღან აღვნიშნე – აივნები და კიბეები ურთიერთგანუყოფელი, და "ურთიერთბმულიც" რომ არის. ისეც ხდება, როცა კიბე აივნის შიდა არეს ეკედლება, მაგრამ ბევრგან გვინახავს - ლამისაა აივნის დარ მნიშვნელოვანებას იძენს, სახლის "სხეულში" საკუთარ ადგილსა თუ როლს ხმამაღალი "რიტორიკით" აცხადებს.

მაინც რამ განსაზღვრა მათი ასეთი ნაირსახოვანება? ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქ გამორიცხულია. კიბეც, აივანიც, სარკმელიც, თუ საცხოვრისის სხვა ელემენტიც – ერთი მხრივ, აუცილებლობიდან მომდინარეობს, ფუნქციურია, პირდაპირი დანიშნულებისაა, მაგრამ მეორე მხრივ, მათ არ "სურთ" (ყოველ შემთხვევაში ასე ესმოდათ ძველ თბილისში, და მსოფლიოს სხვა აურაცხელ კულტუროსან ქალაქში), მხოლოდ უშუალო დანიშნულების შესრულება. ისინი ადამიანის ემოციური სამყაროს, მისი სანუკვარი სურვილების, ინტენსიური შინაგანი მიზანსწრაფვების, ზოგჯერ ხილვების "გამტარი" და გამომხატავია. არსებობს სარკმლის "მოლოდინი", აივნის "ოცნება", თუ გნებავთ, კიბის "შემგებებლობა", ან "მომპატიჟებლობა", სვეტის "მომთმენობა" და "შეუდრეკელობა" და კიდევ ბევრი სხვა რამ – ერთი მხრივ უცნაური, მეორე მხრივ - სანდოობის განცდის აღმძვრელი ძველ თბილისში.

ძველი თბილისის ეზოთა სამყარო სწორედაც რომ სანდოა, დიდი ადამიანური სითბოს მატარებელი, გულმისავალი. კიბეც ამ სამყაროს თვისებებს ატარებს – რაც არ უნდა "მრავალსივრცული" იყოს მისი დასაფეხურებული გზები, ადამიანი მასში არაუცხოდ იგრძნობს თავს – საიდუმლოსმიერობა აქ არაა შემაყოვნებელი, სიფრთხილის გამჩენი, არამედ პირიქით – თავისკენ მიმხმობია, არადისტანციური, "მეგობრული".

მოდით, შევიაროთ რომელსამე ძველთბილისურ ეზოში. იქ მოხვედრისთანავე თვალი მალე იპოვის დავუშვათ – ხვიარა კიბეს, რომელსაც ქოლგასავით გაშლილი, უჩვეულოდ ხატოვანი გადახურვა აღმოაჩნდება. არ გამიკვირდება, თუკი თქვენც მოისურვებთ ამ კიბეზე "აღმასვლას". რატომღაც აქ გამახსენდა "ბიძია ბაბუას" ნათქვამი – "სიყვარული ვერტიკალურია, და თანაც – ბრუნვადიო". პათოსით ნათქვამ ამ სიტყვებს ჩუმად ეთანხმება ამ კიბის მთელი "არსებით" - დაუღალავი მიზანსწრაფვა...

კინოფორუმის პრეზენტაცია ბათუმში

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის ბაღში დღეს ბათუმის საერთაშორისო კინოფორუმის პრეზენტაციაა დაგეგმილი.

კინოფორუმი 4-10 სექტემბერს ბათუმის განახლებულ კინოთეატრ "ინტერნაციონალში" გაიმართება. ფორუმზე დასასწრები ბილეთებით მიღებული შემოსავალი ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს რესურსცენტრის განვითარებისთვის გადაეცემა.

შვიდდღიან ფორუმზე ყოველდღიურად ორი უცხოური და ერთი ქართული ფილმი იქნება წარმოდგენილი. ფორუმის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ აჩვენებენ ისეთ ფილმებს, რომლებიც საუკეთესოდ წარმოაჩენს ქვეყანას და მისაღები იქნება საოჯახო ჩვენებისთვის. კინოფორუმი ბულგარეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ლიტვის, ნიდერლანდების სამეფოს, პოლონეთის, რუსეთის ფედერაციის, შვეიცარიის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოების, ბრიტანეთის საბჭოს, გოეთეს ინსტიტუტის, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და კონოთეატრ "ამირანის" ერთობლივი პროექტია.

პრეზენტაციას დიპლომატიური კორპუსის, ბიზნესსექტორისა და შოუბიზნესის წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

ინტერპრესნიუსი

მოცეკვავეები ესპანეთში არ გაუშვეს

ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი "ჩელა" ესპანეთში ცეკვის საერთაშორისო ფესტივალზე ვიზების უქონლობის გამო ვერ გაემგზავრება. ზუგდიდის რაიონში მოქმედ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს გერმანიის საკონსულომ ვიზის გაცემაზე უარი განაცხადა. ანსამბლის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გადარიცხულ თანხებს უკან ვეღარ დაიბრუნებენ. "ზუგდიდის რაიონის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი "ჩელა" 40 წელია არსებობს. საზღვარგარეთ გამგზავრება მათთვის პირველი არ არის და პრობლემა არასოდეს შექმნიათ. ზუგდიდის ადგილობრივი ხელისუფლება აუცილებლად გამოიკვლევს გერმანიის საელჩოს უარს", - განაცხადა ზუგდიდის რაიონის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამუნა თოლორაიამ.

მედიანიუსი

თბილისი მიესალმება ვიტებსკს

ვერიკო ტურაშვილი.

17 ივლისს ხელოვნების XIV საერთაშორისო ფესტივალზე Славянский Базар в Витебске 2005, რომელიც იმართება ბელორუსის ქალაქ ვიტებსკში (14-22 ივლისი), პირველად აღნიშნული ფესტივალის ისტორიაში, ვიტებსკის მერიის, ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტისა და პროდიუსერული და ივენთ კომპანია 5 Lines Production-ის ორგანიზებით გაიმართება თბილისის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელზეც მიწვეულნი არიან: თამრიკო გვერდწითელი, ჯემალ სეფიაშვილი, თემურ თათარაშვილი, ზურა დოიჯაშვილი, ცისანა სეფიაშვილი, ვერიკო ტურაშვილი, ახალგაზრდა ქართველი მომღერლები და ფოლკლორული ცეკვის ანსამბლი "უნივერსიტეტი". კონცერტის ბოლოს სპეციალურად ამ დღისთვის შესრულდება რევაზ ლაღიძის უკვდავი "თბილისო". პარალელურად, აღნიშნულ ფესტივალზე კონკურსანტის რანგში წარდგება ვერიკო ტურაშვილი, ხოლო საბავშვო კონკურსში მონაწილეობას ია ორჯონიკიძე მიიღებს. ფესტივალზე ჟიურის წევრებად მიწვეულნი არიან საქართველოს დამსახურებული არტისტი, კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი და პროდიუსერული და ივენთ კომპანიის 5 Lines production და საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის "ოქროს ვარდი თბილისი" დირექტორი მამუკა სააკაშვილი. საქართველოს დელეგაცია ბელორუსში 10 ივლისს მიემგზავრება, ხოლო თბილისში 23 ივლისს დაბრუნდება.

პროდიუსერული და ივენთ კომპანია 5 Lines Production 10 წელზე მეტია, საფესტივალო სამყაროსთან ინტენსიურად ურთიერთობს. ამ პერიოდის განმავლობაში კომპანიამ არაერთი ქართველი შემსრულებელი წარადგინა სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალზე. წლევანდელი სეზონი კომპანიამ საკმაოდ წარმატებულად დაიწყო.

წელს უკვე მეთოთხმეტედ, "სლავიანსკი ბაზარი" ტრადიციულად უმასპინძლებს ახალგაზრდა შემსრულებელთა კონკურსს, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა მომღერლები მონაწილეობენ. ფესტივალის გრან-პრის (10 ათასი აშშ დოლარი) ერთმანეთს მსოფლიოს 21 ქვეყნის მომღერალი შეეცილება.

კომპანიამ წელს კონკურსზე ვერიკო ტურაშვილი წარადგინა. კონკურსის პირველ ტურში (17 ივლისი) ვერიკო, მიხაილ ფინბერგის ორკესტრის თანხლებით შეასრულებს სიმღერას Любовь пахожая на сонь ალა პუგაჩოვას რეპერტუარიდან. (პირველი ტურისთვის კონკურსანტები სპეციალურად გაივლიან ერთკვირიან რეპეტიციას ორკესტრთან). მეორე ტურში (19 ივლისი) ვერიკო ქართული სიმღერით "რა კარგი ხარ, რა კარგი", წარდგება მსმენელის წინაშე. 20 ივლისს კი სპეციალურ გალა-კონცერტზე გამარჯვებულთა და ლაურეატთა ვინაობა გაირკვევა.

ფესტივალზე გაიმართება აგრეთვე 7-12 წლამდე ასაკის ბავშვთა კონკურსი. საქართველოს სახელით კონკურსზე 10 წლის ია ორჯონიკიძე იმღერებს (შარშან ფესტივალზე, აღნიშნულ კონკურსში კომპანიამ ქეთი ჩაჩხიანი წარადგინა, რომელიც პირველი პრემიის ლაურეატი გახდა. წელს კი ქეთი ფესტივალზე საპატიო სტუმრად არის მიწვეული).

სილამაზე ჩვენგან სტაბილურობას მოითხოვს

პირველი გვერდიდან

მანამდე კი, ვიდრე ღონისძიების რეალური მასპინძლობის საკითხი გადაწყდება, სამოდელო სააგენტო "იმიჯ ცენტრი" "მის საქართველოსთვის" ორგანიზებას აგრძელებს. გუშინ სასტუმრო "თბილისი მარიოტის" საკონფერენციო დარბაზში სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ია კიწმარიშვილმა "მის საქართველო 2004" სალომე ჩიკვილაძესთან და "ვიცე მის საქართველო 2004" რუსუდან ბოჭოიძესთან ერთად პრესკონფერენცია გამართა და წლევანდელი კონკურსის დეტალები გაახმაურა.

"მიხარია, რომ საქართველოში ისევ იმართება "მის-საქართველოს" გამოსავლენად სილამაზის კონკურსი და დარწმუნებული ვარ, რომ ის მომავალშიც სტაბილურად იარსებებს", - განაცხადა კონკურსის მთავარმა ორგანიზატორმა და ჩვენთან საუბარში კონკურსის სამომავლო ბედზე ასეთი ხაზგასმის მიზეზიც განმარტა: "კონკურსს საშიშროება არ შეჰქმნია, მაგრამ ბევრი მითქმა-მოთქმა იყო, თითქოს "იმიჯ-ცენტრი" დაიხურა, "მის-საქართველო" აღარ გაიმართებოდა და ა.შ. მირეკავდნენ, მეკითხებოდნენ, ნამდვილად ასე იყო თუ არა. ვპასუხობდი, რომ სინამდვილეს არ შეეფერებოდა; ხოლო ამ ჭორების გასამართლებლად საზღვარგარეთ ჩვენი წასვლა არ გამოდგება, რადგან ჩვენი ოჯახი პერიოდულად ყოველთვის გადიოდა ქვეყნიდან". ასე რომ, ია კიწმარიშვილი ისევ თბილისშია და "იმიჯ ცენტრიც" თავის ტრადიციადქცეულ საზაფხულო საქმიანობას - ქვეყნის მასშტაბით ნიჭიერი და ლამაზი გოგონების (17-დან 24 წლამდე) აღმოჩენას ეწევა.

სალომე ჩიკვილაძე, ია კიწმარიშვილი და რუსკა ბოჭოიძე.

ზურა გაჯავარიანის ფოტო

რეგიონებიდან კონკურსისთვის შესარჩევი ტურები რამდენიმე ქალაქში: გორში, ბორჯომსა და ოზურგეთში გაიმართა. აგვისტოში რეგიონებში მუშაობა დასრულდება. აგვისტოშივეა დაგეგმილი ფინალური შოუსთვის შესარჩევი ტური (რომელიც თბილისში გაიმართება). ტურმა ოცდაათი ნახევარფინალისტი უნდა გამოავლინოს. გამარჯვებულები კი ერთი თვის განმავლობაში ინტენსიურად მოემზადებიან ფინალური შოუსთვის, რომელიც ჯერჯერობით უცნობია, სად გაიმართება. როგორც კონკურსის ორგანიზატორმა გვითხრა, ამ ეტაპზე სწორედ ღონისძიების გასამართი ადგილის ვარიანტები განიხილება. უმასპინძლებს თუ არა ისევ ბათუმი ფინალურ შოუს, ამის შესახებ ია კიწმარიშვილმა გვიპასუხა: "იქიდან გამომდინარე, რომ მსგავსი კონკურსები ქვეყანაში ტურიზმისა და კულტურის განვითარებას ემსახურება, აჭარისთვის, კონკრეტულად კი ბათუმისთვის ეს პროექტი, ვფიქრობთ, შესანიშნავადაა მორგებული". თუმცა, ჯერჯერობით ეს ყველაფერი მაინც არ არის გადაწყვეტილი. უცვლელი იქნება კონკურსის ფინალური შოუს გამართვის დრო - სექტემბრის ბოლო კვირა (სავარაუდოდ 24 სექტემბერი). ფინალში გათვალისწინებულია გამარჯვებულების გამოვლენა ათ ნომინაციაში ("მის საქართველო 2005"; პირველი და მეორე ვიცე მის საქართველოები; მის ფოტოგენურობა; მის ინტელექტი; მის გრაცია; მის მომხიბვლელობა; მის ექსტრავაგანტურობა; მის ელეგანტურობა; მის მეგობრობა). წლევანდელი კონკურსის ერთ-ერთ გამარჯვებულს საინტერესო პრიზი ელის - ერთ-ერთ საერთაშორისო სააგენტოსთან ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება, რაც საერთაშორისო სამოდელო სამყაროში მუშაობის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა.

მიმდინარეობს მოლაპარაკება ღონისძიების სპონსორებთან და შესაბამისად, არც ის გახმაურებულა, თუ რამდენად მომხიბლავი იქნება გამარჯვებულთათვის განზრახული პრიზები. "ვფიქრობ, ჩვენი მთავარი პრიზი - ეს საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობაა, რადგან ყველანაირ მატერიალურ შენაძენზე ძვირფასია; იქ იმდენად დიდ გამოცდილებას იღებენ გოგონები, მთელი ცხოვრება გამოადგებათ", - გვითხრა ია კიწმარიშვილმა. კონკურსის პირველი სამი გამარჯვებული გაემგზავრება მსოფლიოს საუკეთესო სილამაზის კონკურსებზე: "მის მსოფლიო", "მის სამყარო" და "მის ტურიზმი" (ეს უკანასკნელი ყოველწლიურად 31 დეკემბერს იმართება მალაიზიაში). თუ როგორ განაწილდებიან გამარჯვებულები ამ ღონისძიებებზე, ამას თავად ია კიწმარიშვილი გადაწყვეტს, რადგან, მისი თქმით, თითოეულ ღონისძიებას მისთვის დამახასიათებელი მოთხოვნები აქვს, რასაც "იმიჯ ცენტრის" გენერალური დირექტორი კარგად იცნობს.

პრესკონფერენციაზე სამომავლოდ "მის სამყაროს" საქართველოში გამართვის შესაძლებლობაზეც ისაუბრეს. ია კიწმარიშვილის თქმით, მას სერიოზული საუბარი ჰქონდა ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული შოუს ხელმძღვანელებთან, რომლებიც ამჟამად საქართველოდან ელიან საბოლოო პასუხს: სავარაუდოდ, როდისთვის იქნება ქვეყანა მზად, უმასპინძლოს სანახაობას. "მის სამყაროს" გასამართად აუცილებელი პირობებია: მასპინძელი ქვეყნის სტაბილურობა და დარბაზი, რომელიც, სულ ცოტა, სამი ათას მაყურებელს უნდა იტევდეს; ამას გარდა, როგორც წესი, მსგავსი კონკურსები საგამოფენო პავილიონებში იმართება ხოლმე და არა ჩვენებური ფილარმონიის ტიპის დარბაზებში. ია კიწმარიშვილს იმედი აქვს, რომ, ისევე როგორც სხვა ქვეყნების მთავრობები (რადგან ამ კონკურსებს სახელმწიფო აფინანსებს), საქართველოშიც დაინტერესდებიან პროექტით და უახლოეს წლებში შესაბამისი დარბაზის აშენებაც მოხერხდება.

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ------------------------------

მისამართი ------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ------------------------------

დაბადების თარიღი ------------------------------

სკოლა ------------------------------

კლასი ------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა